პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით.

კომუნისტი

წელიწადი მეორე

ს. კ. პ. ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და საქრევკომის ორგანო

2 თებერვალი
ხუთშაბათი

ფასი 5000 მანეთი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4 რედაქცია ღიაა ყოველ დღე [illegible] უქმეების დღ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14-76 მდივნის № 19 საერთო №

№ 25 ხუთშაბათი, 2 თებერვალი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ხუთშაბათი, 2 თებერვალი 1922 წ. № 25

საქართველოს კომუნისტურ პარტიის პირველი ყრილობის მიმართვა საქართველოს მუშებისა და გლეხებისადმი.

ამხანაგებო!

საქართველოს კომუნისტურ პარტიის პირველი ყრილობა, რომელიც თბილისში მუშაობდა 1922 წლის 23—31 იანვარს და რომელმაც ჯამი გაუკეთა პარტიის 11 თვის მუშაობას, საქართველოს მშრომელ მასსების წინაშე აცხადებს:

საქართველოს კომუნისტურ პარტიას გაუგონარ მძიმე პირობებში მოუხდა პარტიული საბჭოთა აღმშენებლობის წარმოება: ერთი მხრით მენშევიკების მიერ ნაანდერძევ ქვეყნის ეკონომიურად სავსებით დანგრეულ გარემოებაში, მწვავე სასურსათო კრიზისის მომენტში, რომელსაც აორკეცებს რკინის გზის მთელი ტრანსპორტის მოშლა, რაც გამოიწვია გაქცეულ მენშევიკურ მთავრობის მიერ რკინის გზის რამდენიმე ათეული დიდი და პატარა ხიდის დანგრევამ, ვაგონებისა და ორთქლმავლების ასობით და ათასობით ბათომისაკენ გატაცებამ და მათი ბოროტგანზრახვით გაფუჭებამ,—და აგრეთვე სრულიად ცალიერ ხაზინით და სხვა და სხვა,—ხოლო მეორე მხრით, ისეთ პირობებში, როდესაც ქართველი ხალხის ნაწილი, განსაკუთრებით ინტელიგენციის ზოგიერთი წრეები მოწამლული იყო ნაციონალიზმისა და შოვინიზმის შხამით, რომელმაც იმ მომენტში მიაღწია თავის უაღრეს განვითარებას იმის წყალობით, რომ მენშევიკები და სხვა ნაციონალისტები ერთმანეთს უსისინებდნენ ხალხებს, რის გამო საქართველოში მოსახლე ყველა ხალხებ შორის ეროვნულ მშვიდობიანობის ნაცვლად, ჩვენი პარტიის წინ აიმართა გამწვავებული ეროვნული სიძულვილი და განხეთქილება.

კომუნისტურ ორგანიზაციებს ადგილობრივათ, მთელ კომუნისტურ პარტიას მთლიანად ასეთ უკიდურესათ მძიმე გარემოებაში მოუხდა მუშაობა, არა თუ მარტო თვით პარტიის ასაღორძინებლათ და გასამტკიცებლათ, არამედ მას დასჭირდა—რაც გაცილებით უფრო მძიმე და მნიშვნელოვანია—დაუღალავი მუშაობის წარმოება სახელმწიფო აღმშენებლობის სფეროში, დანერგვა, გაფართოვება და გამაგრება საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების, მშრომელთა დიქტატურის ორგანოებისა.

იხილავს და აფასებს რა აქ ერთნაირათ რთულ და მძიმე სამუშაოს, როგორც პარტიულ, ისე სახელმწიფო აღმშენებლობის სფეროში, და აღნიშნავს რა ამასთანავე აუცილებელ შეცდომებს და დეფექტებს პროლეტარულ დიქტატურის სრულიად ახალ გზაზე, ბურჟუაზიულ დამოკიდებულებებიდან სოციალიზმისაკენ გადასვლის მომენტში, ყრილობა აღიარებს რომ პარტიამ საკმაო ენერგია გამოიჩინა ყველა დარგებში და მიაღწია საგრძნობ ნაყოფიერ შედეგებს.

უწინარეს ყოვლისა პარტია სწორედ მიუდგა ეროვნულ საკითხს: მან სრულიათ სწორათ გადასჭრა ის და ეროვნული მშვიდობიანობა დაამყარა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ; ყველა ხალხებს შორის მარჯვე პოლიტიკურ ტაქტის წყალობით, მან მოახერხა თანდათან ლიკვიდაცია ეყო და მოესპო, თუ საბოლოოთ არა, ყოველ შემთხვევაში შესამჩნევათ მაინც, ის ნაციონალისტური თავბრუ, რომელიც ჩვენმა პარტიამ მიიღო, როგორც სავალალო მემკვიდრეობა მენშევიკებისგან და რომლითაც მენშევიკები თავიანთ ბატონობის სამი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ შხამავდნენ აქ მშრომელთა მასსების გონებას და გულს.

შინაურ ეროვნულ ზავს ემატება გარეშე ზავიც: ამ 11 თვის განმავლობაში საბჭოთა საქართველოს ხალხს რომელიც მენშევიკების ბატონობის დროს მუდამ სისხლისმღვრელ ომებს აწარმოებდა ყველა მეზობელ ხალხებთან, არ დაუღვრიათ არც ერთი წვეთი სისხლი არც თავისი არც სხვის მებრძოლებთან ომში: საბჭოთა საქართველო გარშემორტყმულია ძმური საბჭოთა რესპუბლიკებით: რუსეთი, აზერბეიჯანი და სომხეთი, ხოლო სამხრეთიდან მას მტრის ნაცვლათ ყავს ერთგული მეზობელი, რევოლიუციონურ ოსმალეთის სახით, რომელმაც აჯანყების დროშა აღმართა დამმონავებელ იმპერიალიზმის წინააღმდეგ და რომელთანაც საბჭოთა საქართველომ ქ. ყარსში შეკრა ძმობისა და მეგობრობის მტკიცე ზავი.

ჩვენმა პარტიამ დასაწყისიდანვე სწორე კურსი აიღო მიწის საკითხის გადასაწყვეტათ. მიწა გამოცხადდა ყველა მშრომელთა კუთვნილებათ და მიწის ეს უდიდესი რეფორმა უკვე ხორციელდება ცხოვრებაში, და მენშევიკების მიერ მოტყუებული მშრომელი გლეხობა საბოლოო, და სამუდამოთ განთავისუფლდა სოფლის ბობოლებისა და [illegible].

პარტიულ და საბჭოთა აპარატების მოწყობის საქმეშიაც მიღწეულია ცოტათ თუ ბევრათ საგრძნობი შედეგები.

ამ დარგში ყრილობას სრულის კმაყოფილებით შეუძლია აღნიშნოს რომ მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოების დაარსება საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე უკვე მთავრდება და, რომ ერთი ან ორი კვირის შემდეგ, ჩვენ მოვიწვევთ სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობას, რითაც დაგვირგვინდება საბჭოთა აღმშენებლობის შენობა და განმტკიცდება საქართველოს მშრომელთა ხელისუფლება. დაბოლოს, ამ ხნის განმავლობაში ხდება თანდათანობითი ლიკვიდაცია და დავიწყებას ეძლევა ამიერ კავკასიაში სამ ეროვნულ შოვინისტურ და ბურჟუაზიულ პარტიათა: მენშევიკებისა, დაშნაკელებისა და მუსავატელების ბატონობის კიდევ ერთი სამწუხარო მემკვიდრეობა სახელდობრ: ამიერ კავკასიის მშრომელ მასათა დაქსაქსვა და ურთიერთი დაშორება, რაც 3—4 წლის განმავლობაში სისტემატიურად ინერგებოდა ამ კონტრ რევოლიუციონურ პარტიების მიერ, როგორც საქართველოში, აგრედვე აზერბეიჯანში და სომხეთშიაც.

ყრილობა აღნიშნავს, რომ ამიერკავკასიის რკინის გზების და საგარეო ვაჭრობის გაერთიანება, მოსპობა ყოველგვარ ზღუდეებისა და საბაჟოებისა, ყველა ეს ზომები, როგორც პირველი ნაბიჯები ამიერკავკასიის რესპუბლიკათა გაერთიანების საქმეში დიდათ ხელს უწყობდა აღნიშნულ დაქსაქსულობის და ურთიერთის დაშორების აღმოფხვრას ამიერკავკასიის რესპუბლიკათა შორის.

მაგრამ საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების და შეკავშირების საქმეს არ შეუძლია შეჩერდეს მხოლოდ ამაზე. საჭიროა ამ გაერთიანების გამტკიცება და ფორმის მიცემა, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის ორგანოს სახით, საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის შენახვით.

ყრილობა ყოველ მხრივათ იწონებს პარტიის ხელმძღვანელ ორგანოს ყველა ნაბიჯებს, რომლებიც გადადგმულია ამ მხრივ და ფიქრობს, რომ ყველა ეს ზომები მიიღებენ სანქციას საქართველოს მშრომელ ხალხთა მომავალ საბჭოების ყრილობაზე.

დასასრულ ყრილობა აცხადებს: ჩვენი მუშაობის ყველაზე ძნელი და მძიმე ხანა უკვე გავლილია, მაგრამ ამ ჟამადაც პარტიის წინაშე სდგას უდიდესი ამოცანები, რომლებიც მოითხოვს ყველა ძალების ამოძრავებას. ეს ამოცანები უმთავრესად ეხება სამეურნეო აღმშენებლობის დარგს, და აგრედვე მოუსავლობით გატანჯულ რაიონებში შიმშილობის წინააღმდეგ ბრძოლას. მაგრამ უმთავრესი საფეხური ჩვენი პარტიის სახელმწიფოებრივ მუშაობაში უკვე გარკვევით არის აღნიშნული და შემოხაზული.

ეს ყრილობა 11 თვის მუშაობის შემდეგ პირველად უკეთებს საერთო ჯამს პარტიის მუშაობას, ეჭვს გარეშეა, რომ ის კიდევ უფრო გააძლიერებს, გააორკეცებს და გაათკეცებს პარტიის ენერგიას, აიწევს სულიერ განწყობილებას როგორც პარტიულ ისე უპარტიო მასსებში, გამოიწვევს ახალ აღფრთოვანებას და ახალ ენთუზიაზმს პარტიის წევრთა რიგებში, კიდევ უფრო გააძლიერებს ერთობას, შეკავშირებას და რკინის პარტდისციპლინას ჩვენ გაწმენდილ მჭიდრო რიგებში.

საქართველოს კომუნისტურ პარტიის პირველი ყრილობა მტკიცე რწმენას გამოსთქვამს, რომ საქართველოს კომუნისტური პარტია მეზობელ მოძმე რესპუბლიკათა კომუნისტურ პარტიების დახმარებით შესძლებს მიიყვანოს საქართველოს მშრომელ მასსების სრული განთავისუფლების საქმე საბოლოო გამარჯვებამდე. გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას! გაუმარჯოს საქართველოს მუშებსა და გლეხებს! გაუმარჯოს ყველა ქვეყნების მშრომელთა გაერთიანებას!

საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობა

კამათი ამხ. მდივანის მოხსენების გამო საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ

ამხ. კვირკელიას სიტყვა

მე ავიღე სიტყვა, რომ ყრილობის ყურადღება შევაჩერო იმ ზოგიერთ პრაქტიკულ საკითხებზე, რომლებზედაც, დროს უქონლობის გამო, ვერ შეჩერდა ამხ. მომხსენებელი. პირველი საკითხია—ჩვენი რესპუბლიკის ადმინისტრატიული დაყოფა. შევადაროთ ის დაყოფა რომელიც ჩვენ გვაქვს რუსეთის ადმინისტრატიულ დაყოფას. რუსეთში არსებობს 4 მუხლიანი ადმინისტრატიული დაყოფა: გუბერნია, მაზრა, თემი და სასოფლო საზოგადოება. ჩვენ გვაქვს მხოლოდ ორ მუხლიანი დაყოფვა—თემი და მაზრა. მე არ შევუდგები თქვენს წინაშე ორ მუხლიანი დაყოფვის უპირატესობის მტკიცებას ოთხ მუხლიან დაყოფასთან. ეს ცხადია თავის თავად. ჩვენ არ გვაქვს ზედმეტი ორგანოები, ზედმეტი დაწესებულებები, ზედმეტი შტატები, რომლებიც იწვევენ ზედმეტ ხარჯებს. ცენტრი თითქმის უშუალოდ უკავშირდება ადგილებს. უკანასკნელ დრომდი ჩვენში კიდევ არსებობდა რაიონული რევკომები, რომლებიც შემდეგში, როგორც ზედმეტი ორგანოები, გაუქმებულ იქნენ. საგუბერნიო ორგანოები ჩვენ თავიდანვე არ გვქონდა. ეხლანდელმა პარტიულმა ყრილობამ საჭიროა მიიღოს როგორც განსაზღვრული დებულება, რომ ჩვენ გვაქვს ორ მუხლიანი დაყოფვა და ასეთი დარჩება შემდეგშიაც.

შემდეგ ორატორი წინადადებას იძლევა შემცირდეს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების წევრების რიცხვი. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთან ეხლა არსებობს 11 განყოფილება. თუ ამ რიცხვს მიუმატებთ თავმჯდომარეს, რომელიც უმეტესათ არ განაგებს არავითარ განყოფილებას და მდივანს, რომელსიც აგრეთვე არ აქვს პორტფელი, მივიღებთ მაქსიმალურ რიცხვს 13, რომელიც ამაზე მეტად არ უნდა გადიდდეს.

აქ ლაპარაკობდნენ, რომ საჭიროა ფართო აპარატი მასების საბჭოთა აქტიურ მუშაობაში ჩასაბმელად. მაგრამ ამისათვის არაა აუცილებელი აპარატის [illegible] და შტატების გადიდება. საბჭოთა პრაქტიკა გვითითებს მთელ რიგ პრაქტიკულ ზომებზე—საბჭოთა ხელისუფლების კავშირის ორგანიზაციულ ფორმებზე მშრომელთა ფართო მასებთან. ამიტომ მე წინადადებას ვიძლევი განისაზღვროს წევრების რიცხვი სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტების—13, საქალაქო—20, თბილისისათვის მაქსიმუმი 25.

მესამე საკითხიც აგრეთვე პრაქტიკული ხასიათისაა, რომელიც წამოაყენა ამხ. მდივანმა და რომელიც ალბათ ამხანაგებმა სავსებით ვერ გაიგეს. სამხრეთ რუსეთის ეკონომიურ თათბირის მზგავსად ყუბანში მოწყობილია კიდევ ორი თათბირი: ადმინისტრატიული და პოლიტ-განათლების. ადმინისტრატიულ თათბირში ერთდებიან ყველა დამსჯელი ორგანოები: სამმართველოს განყოფილება, „ჩეკა“, რევტრიბუნალი და სხვ.

შემდეგ, ორგანიზაციები, რომლებიც ამა თუ იმ სახით დახმარებას უწევენ მცხოვრებლებს—ჯანმრთელობის განყოფილება, სოც. უზრუნველყოფის და განმანათლებელი ორგანოები აგრეთვე ერთდებიან. ეს იმას არ ნიშნავს, როგორც აქ გაიგეს, რომ ისინი ადგილობრივად ერთდებიან და გამოდის რაღაც კონგლომერატი, განყოფილებების დომხალი. ეს განყოფილებები არსებობენ დამოუკიდებლად, მაგრამ რათა ერთხელ და სამუდამოდ დაიდოს საზღვარი იმ დამოკიდებულებებს, რომლებიც არსებობს ცალკე განყოფილებებს შორის, ისინი ერთდებიან პრაქტიკული მუშაობის წარმატებისათვის. ჩვენ აქ, საქართველოში ვიმყოფებით საბჭოთა აღმშენებლობის გარდამავალ პერიოდში. ამიტომ აქ განსაკუთრებით საჭიროა კავშირის დაცვა ყველა დამსჯელ ორგანოებს შორის, რომლებიც ისახავენ ერთსა და იგივე მიზნებს; ასეთი ორგანოების გაერთიანება ჩვენ მოგვცემს დადებით შედეგებს. ყველა თქვენგანმა იცის თუ ადგილობრივად როგორი უთანხმოება არსებობს აღმასრულებელ კომიტეტსა, პოლიტბიუროსა და სხვა დამსჯელ ორგანოებს შორის. რომ ამას ადგილი არ ექნეს საჭიროა ამ ორგანოების შეერთება ადმინისტრატიულ თათბირად.

მეოთხე საკითხი, რომელსაც მე ვთვლი მომწიფებულად და რომლის შესახებ შეიძლება განსაზღვრული დადგენილების გამოტანა—არის კომუნ-განყოფილებების შეერთება ეკონომიურ განყოფილებებთან.

ეხლა რუსეთში გადაწყვეტილია მოხდეს ყველგან ეკონომგანყოფილებების ლიკვიდაცია და ეს ამხანაგებო, ახალ ეკონომიურ პოლიტიკის თვალსაზრისით, სხვანაირად არ შეიძლება გადაწყდეს. უმაღლეს მეურნეობის საბჭოს რჩება მსხვილი წარმოებები, რომლებსაც აქვთ სახელმწიფოებრივი ინტერესი, ის თავიდან იცილებს წვრილ წარმოებებს, რადგანაც მათი იჯარით გაცემა არ ხდება და გადადიან ისინი კომუნალურ მეურნეობის გამგებლობაში. ამის შესახებ არსებობს კანონი, რომელიც მიღებულია და რომლითაც ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ.

ჩვენ შეგვიძლია ეკონომგანყოფილების ლიკვიდაცია და კომუნგანყოფილების დატოვება და აგრეთვე ეკონომგანყოფილებების გახსნა იმ პუნქტებში, სადაც დაგროვებულია მსხვილი წარმოებები, რომლებსაც აქვთ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა.

დასასრულში ამხ. კვირკელია ჩერდება ცენტრალურ ხელისუფლების და ადგილობრივ ორგანოებს შორის დამოკიდებულების საკითხზე და აღნიშნავს, რომ ორმაგი დამოკიდებულების პრინციპმა მთელ საბჭოთა აღმშენებლობაში, როდესაც ერთი მხრივ ადგილობრივი განყოფილება ექვემდებარება ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს და მეორე მხრივ სათანადო ცენტრალურ სახალხო კომისარიატს, გამართლდა პრაქტიკაში და დადასტურებულია საბჭოების ყველა ყრილობებით და გამტკიცებულია ცხოვრების მიერ.

საბჭოთა აღმშენებლობის საკითხის შესახებ კამათში მონაწილეობას იღებდნენ ამხ. ა. გეგეჭკორი, მამულია, მათიკაშვილი, თ. კალანდაძე და სხვ.

პარტიისა და პროფკავშირების ურთიერთობა

(ამხანაგ ნაზარეტიანის მოხსენების თეზისები)

1) პარტიისა და პროფკავშირების ურთიერთობა განისაზღვრება რ. კ. პ. ცეკას დებულებით პროფკავშირების კომუნისტური ფრაქციების შესახებ (იხ. „უწყ.“ № 33) საქართველოს კომუნისტურ ორგანიზაციათა პირველი ყრილობა, სავსებით იზიარებს რა ამ დებულებას, ავალებს ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს ფრაქციას მტკიცეთ და გადაუხრელად გაატარონ ის ცხოვრებაში და უზრუნველყონ კომუნისტურ პარტიის მიერ ფრაქციების და მათი საშუალებით მთელი პროფესიული მოძრაობის ხელმძღვანელობა.

2) საბჭოთა საქართველომ ოქტომბრის რევოლიუციის განვითარების მსვლელობაში ვერ მოასწრო ძველი ეკონომიური პოლიტიკის გატარება და ერთბაშად შევიდა ახალ ეკონომიურ პოლიტიკის წრეში, რომელიც გამოწვეულია წარმოების და სასოფლო მეურნეობის დაქვეითებით, ამასთან დაკავშირებით ნედლეულის და სასურსათო რესურსების შემცირებით, ტრანსპორტის დაშლით და მრეწველობის კატასტროფიული მდგომარეობით; ეს ახალი ეკონომიური პოლიტიკა წარმოადგენს ერთად ერთ გამოსავალს საერთო სამეურნეო ნგრევიდან შექმნილ საერთაშორისო და შინაურ ვითარებაში ახალ გზას მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის აღორძინების მისაღწევად და პროლეტარულ სახელმწიფოს ეკონომიურ სიმძლავრის განსამტკიცებლად.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა ხასიათდება სასოფლო მეურნეობის სფეროში სასურსათო გაწერის შეცვლით სასურსათო გადასახადით და საქონლის გაცვლა-გამოცვლის თავისუფლების დაშვებით, მრეწველობის სფეროში მრეწველობის ნაციონალიზაციის შეზღუდვით მხოლოდ მსხვილით იმ ფარგლებში, რომლებიც შეესაბამებიან სახელმწიფოებრივ მომარაგების რესურსებს, ტრანსპორტის მოთხოვნილებებს და უმთავრეს სამეურნეო და სამრეწველო საჭიროებებს.

ამასთან დაკავშირებით პროფკავშირების ამოცანები, როლი და მონაწილეობა წარმოებაში განიცდის სრულიად ბუნებრივ, და აუცილებელ ცვლილებას იმასთან შედარებით, რაც წინედ გვქონდა; მაგრამ პროფკავშირების ძირითადი მიზნები, წამოყენებულნი წინანდელი ყრილობების მიერ, რჩებიან იგივენი, ვინაიდან ახალი ეკონომიური პოლიტიკა არამც თუ არ ცვლის პროლეტარიატის დიქტატურის ბუნებას, არამედ წარმოადგენს ჩვენი პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ახალ იარაღს ბრძოლაში მისი და პროლეტარულ რევოლიუციის განმტკიცებისათვის, რომელიც ყოველ მხრივ გარშემორტყმულია იმპერიალისტური და წვრილბურჟუაზიული სტიქიით.

3) პროფკავშირის ძირითად ამოცანას ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში შეადგენს:

ა) გაერთიანებულ მრეწველობის ყოველმხრივი გამაგრება.

ბ) მმართველობის მტკიცე მუშაობის უნარ მქონე აპარატის ორგანიზაციისათვის ხელის შეწყობა.

გ) შრომის ორგანიზაცია მუშათა და მოსამსახურეების მდგომარეობის გაუმჯობესების ნიადაგზე.

დ) საუკეთესო დახელოვნებულ შრომის შენარჩუნება გაერთიანებულ წარმატებებში.

ე) უმუშევართა დაზღვევის შესახებ დეკრეტის გატარება.

ვ) შრომის დისციპლინის პრინციპების შეურყეველი გატარება.

ზ) დაცვა შრომისა და ინტერესებისა სამუშაო ხელფასის დარგში და კოლექტიურ ხელშეკრულების პირობებში.

თ) კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის გაძლიერება და გაღრმავება.

ი) პროფკავშირების როლი წარმოებაში მდგომარეობს თავის წევრების ფართე მასსებთან ფრიად ცხოველ და უშუალო კავშირის განმტკიცებაში, მათ ჩაბმაში საერთო საკავშირო მუშაობაში, მიზიდვაში სამეურნეო ამოცანების გადასაჭრელად და გაძლიერებულ საწარმოო პროპაგანდაში.

4) პროფკავშირების ორგანოების მონაწილეობა წარმოებაში ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში უნდა გამოიხატოს შემდეგში:

ა) მონაწილეობა სატრესტო და საკომბინაციო წარმოებათა სფეროს დამყარებაში;

ბ) მათი მმართველობის წესის განსაზღვრა;

გ) სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ წარმოებათათვის გასაცემ საბრუნავ საშუალებათა, მომარაგების საგნების რაოდენობის განსაზღვრა;

დ) ყურადღების მიპყრობა მუშების ნივთიერი მომარაგების ფონდების გეგმიან განაწილებაზე, სწორ ნორმის დაწესებაზე და ადგილობრივად ფონდების განაწილების სისწორის შემოწმებაზე.

ე) მონაწილეობა წარმოებითი კონტროლში.

ვ) მონაწილეობა სამეურნეო ორგანოების გეგმიან მუშაობაში.

თ) პროფკავშირები უშუალოდ არ ერევიან სამეურნეო ორგანოების პრაქტიკულ მუშაობაში, ამასთან ფართო გასაქანი, დამოუკიდებლობა და თაოსნობა ენიჭება სამეურნეო ადმინისტრატიულ პერსონალს, მასზე პასუხისმგებლობის დაკისრებით.

ი) დაწესება სამუშაო ხელფასის როგორც ცენტრის, ისე ტერიტორი-

შემჭიდროებული რიგებით, მტკიცე ნებისყოფით, გარკვეული გზით...

გუშინ დაიხურა პირველი ლეგალური ყრილობა საქართველოს კომუნისტური პარტიისა.

მძიმე იყო და რთული სოციალ-პოლიტიკური პირობები ჩვენი ქვეყნის, რომლებშიაც მოუხდა მოღვაწეობა პარტიას წარსული წლის განმავლობაში. მენშევიკური რეჟიმის დროს პოლიტიკურ ასპარეზს მოწყვეტილს, შეუწყვეტელი რეპრესიების გამო დაქსაქსულს და რიგებ შესუსტებულს, ისტორიული ამბების მსვლელობამ თავს მოახვია მას დიდი საქმე ქვეყნის ახალ საფუძვლებზე მოწყობის და იმავე დროს თავის რიგების აწყობის სწორეთ ამ ქვეყნის ეკონომიური დანგრევის პირობებში შიგნი, ხალხთა შორის უნდობლობისა და შური მტრობის ატმოსფერაში როგორც შიგნი, ისე გარეთ,—რომელიც შექმნა ძველი და მენშევიკური რეჟიმის წყალობით დაყენებულს ასეთი მდგომარეობის წინ და ისიც ჩამორჩენილი ქვეყნის პირობებში, პარტიას უნდა გამოეჩინა ზეკაცური ენერგია. მოეძებნა სწორი შეფასება მდგომარეობის მთელი სირთულის, გამოეაშკარავებია უნარი დუხჭირ სინამდვილესთან ბრძოლისა და მასზე გამარჯვების.

თერთმეტი თვის ასეთი ბრძოლის შემდეგ პარტიას უნდა გაეკეთებია ჯამი მიღწეულ შედეგებისთვის, გაერჩია შეცდომები, მომავალში მათ თავიდან ასაცილებლათ და შემდეგი სავალი გზის ნათლად გასათვალისწინებლათ.

და ყრილობამ ეს მუშაობა წარმატებით ჩაატარა.

მიუხედავათ ხსენებულ სიძნელეთა, არა ხელსაყრელ ობიექტიური და სუბიექტიური პირობებისა პარტიამ პირნათლათ შეასრულა მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში დაკისრებული მოვალეობა როგორც საკუთარ პარტიულ-პოლიტიკური, ისე ქვეყნის ეკონომიური აღორძინების წინასწარ მკვიდრ საფუძვლების ჩაყრის და მათი თანდათან განვითარების საქმეში. ყრილობამ დამაკმაყოფილებლათ ამოსწურა არა მარტო უმნიშვნელოვანესი კითხვები ჩვენი მიმდინარე სინამდვილის. მან თავის მომავალი სავალი გზიდან მოიცილა წვრილმანი გაუგებრობანი, გამოწვეული „მექანიზმის პატარა ნაკლით“ (რომელიც დაგროვდენ პარტიულ ცხოვრებაში არალეგალური არსებობის დროიდან) და რთული პირობების პრაქტიკული შეფასებით. მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს მორიგ კითხვებზე, რომლებიც აღმართულია პარტიის წინაშე, შეთანხმებული გადაწყვეტილებათა გამოტანით ყრილობამ დაუმტკიცა მთელ პარტიას, მის მეგობრებს და იმავ დროს მტრებსაც, რომლებიც იარაღს ლესავენ მის წინააღმდეგ, და მით მთელი მშრომელი ხალხის წინააღმდეგ, შიგნი თუ გარეთ, რომ პარტია მტკიცეთ სდგას თავის ისტორიულ სადარაჯოზე. პირველი თავის ლეგალური ყრილობიდან ჩვენი პარტია, პარტია მშრომელი საქართველოსი, გამოდის შემჭიდროებული რიგებით, მტკიცე ნებისყოფით, შემდგარა გარკვეულ გზაზე. ადგილობრივი ორგანიზაციების საქმეა რეალური გამოხატულება მისცენ ამ სიმტკიცეს ქვეყნის ასაყვავებლათ და მუშურ გლეხური სახელმწიფოს საკეთილდღეოთ. ამით გავიმარჯვებთ ჩვენ.

* * *

ულ ფონდების, როგორც შრომის ხელფასის საძირკვლისა გაერთიანებულ წარმოებაში.

კ) ტეხნიკურ მუშაობას სამუშაო ხელფასის განაწილებლად წარმოების შიგნით პროფკავშირები გადასცემენ ქარხნის მართველობას.

ლ) კერძო, საიჯარო და საკონცესიო წარმოებებში არ მოქმედებს მუშათა კონტროლი, რომელ ინსტიტუტსაც თავდაპირველად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფოს უზრუნველსაყოფად მწარმოებლების საბოტაჟისაგან და კერძო-კაპიტალისტურ წარმოებიდან გაერთიანებულზე გადასვლის მოსამზადებლად.

მ) კერძო, საიჯარო და საკონცესიო წარმოებებში პროფკავშირები ენერგიულად ადევნებენ თვალყურს შრომის დაცვის ნორმების გატარებას, ინტერესების დაცვას სამუშაო ხელფასის დარგში, რომელიც წესრიგდება კოლექტიური ხელშეკრულებებით.

ნ) ცალკე ქვეყნების პროფმოძრაობის განცალკევებული არსებობა იყო დიდი ბოროტება და დამაბრკოლებელი მსოფლიო პროლეტარიატის ორგანიზაციის საქმეში კაპიტალის წინააღმდეგ. პროფმოძრაობის მსოფლიო გაერთიანებას ყველაზე უფრო უშლიდნენ ხელს ევროპის და ამერიკის კაპიტალისტურ წესწყობილების მიერ დაწესებული ეროვნულ სახელმწიფოებრივი ზღუდეები, რომელნიც ყოფდნენ და ეხლაც ყოფენ ერთი ქვეყნის მუშებს მეორისაგან. საბჭოთა რესპუბლიკებში, სადაც ხელისუფლებას სათავეში უდგანან მუშები და გლეხები, რომლებმაც მოსპეს ურთიერთ შორის სახელმწიფოებრივი საზღვრები და წარმოადგენენ ასე ვთქვათ მთლიან პროლეტარულ ქვეყანას,—პროფმოძრაობის გაერთიანება უთუოთ აუცილებლობას შეადგენს.

ამიტომ საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციების პირველი ყრილობა ბატონობს და უყურებს საქართველოს პროფმოძრაობას, როგორც ორგანიულ შემადგენელ ნაწილს სრულიად რუსეთის პროფმოძრაობისა, რომელსაც ხელმძღვანელობს სრ. რ. ც. პროფკავშირთა საბჭო.

კაპიტალისტურ ქვეყნებში, რომელნიც გაყოფილია ერთმანეთისაგან ხიშტების კედლებით, რომელნიც ყოველ წუთს მზად არიან ერთმანეთს ეცნენ,—ასეთი შეერთება შეუძლებელია ამ ქვეყნების მუშათა საბოლოო გამარჯვებამდე. ამიტომ წითელი პროფინტერნი წარმოადგენს მსოფლიოს ყველა ქვეყნის პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანებას. წითელი პროფინტერნი წარმოადგენს საერთაშორისო პროლეტარულ მოძრაობის ერთ ერთ მებრძოლ შტაბს. სადაც წარმოდგენილი უნდა იყოს თითეული ქვეყნის პროფმოძრაობა, სადაც უნდა ისმოდეს თვით ფრიად მცირე ხალხების ხმაც.

ყრილობა აღიარებს, რომ, შედიან რა შემადგენელ ნაწილად რუსეთის პროფმოძრაობაში, საქართველოს პროფკავშირები ამასთან ერთად წარმოდგენილი არიან წითელ პროფინტერნში და ამით აძლიერებენ მასში რევოლუციონურ ხმათა ხორს.

ს. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის წევრები.

ცეკაში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები:

ბოლქვაძე ვანო, გეიდენი, გოგია ბესარიონ, გუბელი სერაფიონ, დუმბაძე ლადო, ეშბა ეფრემ, ვარამაშვილი, თოდრია სილ., კალანდაძე თედორე, კაკაბაძე კირილე, კობახიძე აკაკი, ყურულაშვილი გიორგი, ლისიცკი (არმიისაგან გადამწყვეტი ხმით), მამულია სამსონ, მახარაძე ფილიპე, მდივანი ბუდუ, მიროტაძე, ნაზარეტიანი ამაიკ, ნასარიძე დავით, ოკუჯავა მიშა, ორახელაშვილი მამია, ორჯონიკიძე სერგო, საბაშვილი პარმენ, სუხიშვილი ლადო, ჯორბენაძე იასონ, ცინცაძე პარმენ.

კანდიდატები:

ბახტაძე ვალია, კუკნაძე ნიკო, ლოლობერიძე ლევან, ხომერიკი კოსტანტ. კატიევი ალექსანდრე, ცინცაძე კოტე, ჩოდრიშვილი მიხ.

სარევიზიო კომისია:

კალანდაძე ე., კვაჭაძე გ., ოკუჯავა ნ., თალაკვაძე ს., ჩიხლაძე ს.

საკონტროლო კომისია:

კანდელაკი ლ., კვარაცხელია მ., მავრელიშვილი, რთველაძე, სოლოვენი.

კანდიდატები:

ჯაფარიძე, სტურუა.

ყრილობის დახურვა.

1 თებერვალს საზეიმო უკანასკნელი სხდომით დაიხურა პირველი ლეგალური ყრილობა პარტიის.

გენუას კონფერენციისათვის

იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის დეპეშა

მოსკოვი. 1 თებერვალი (რადიო). საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ჩიჩერინმა მიიღო იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრისაგან 22 იანვრის თარიღით შემდეგი დეპეშა: „გამოვსთქვამ რა მადლობას 17 იანვრის თქვენი დეპეშის გამო, მაქვს პატივი დაგარწმუნოთ თქვენ, რომ მე ვცნობ მოკავშირე მთავრობებს იმის შესახებ, რომ სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტი მოწვეული იქნება 27 იანვრისათვის გენუის კონფერენციაზე დელეგაციის ასარჩევად და მათი საგანგებო რწმუნებების აღსაჭურველად. 11 იანვრის თარიღით მე მივიღე კანის კონფერენციაზე დამწრე მთავრობების მიერ მოწონებული შემდეგი პროგრამა. 1) კანში მიღებულ ა. წ. 6 იანვრის უმაღლეს საბჭოს რეზოლუციაში ჩამოთვლილი პრინციპების ცხოვრებაში გატარების საკითხის განხილვა. 2) ევროპის მშვიდობიანობის მტკიცე საფუძვლებზე დამყარება. 3) ნდობის აღდგენა არსებულ ხელშეკრულებების დაურღვევლათ. 4) საფინანსო საკითხები: ფულის ნიშნები და მისი ტრიალი, ცენტრალური და საემისიო ბანკები, სახელმწიფო ფინანსები გაცვლა-გამოცვლის საქმესთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი და კერძო კრედიტის ორგანიზაცია. 5 საკითხები ეკონომიური და ვაჭრობის: შეღავათი და გარანტიები საექსპორტო და საიმპორტო ვაჭრობისთვის, სავაჭრო ოპერაციების კანონმდებლობითი და სამოსამართლო გარანტიები, სამრეწველო, სალიტერატურო და მხატვრულ საკუთრების უფლებების დაცვა, საელჩო წესდება, უცხოელების ადგილობრივად ცხოვრების დაშვება და ნებართვა, რამდენადაც ეს დაკავშირებულია ეკონომიურ ოპერაციებთან, ტეხნიკური დახმარება მრეწველობის და ტრანსპორტის აღდგენის საქმეში. იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ტორეტა“.

სამზადისი კონფერენციისათვის.

მოსკოვი, 1 თებერვალი, (რადიო). გენუაში სწარმოებს სასწრაფო მზადება კონფერენციისათვის, რომლის სხდომებიც მოეწყობა მეფის სასახლეში. ამზადებენ ბინებს მრავალრიცხოვან დელეგაციებისათვის და აგრეთვე ჟურნალისტებისათვის, რომლების რიცხვიც იქნება დაახლოვებით 300 კაცამდი. ამ უკანასკნელებისათვის მზადდება ცალკე პრესის სახლი.

საბჭოთა რუსეთი და ფინეთი

„ჩემი შენ გითხარი“.

მოსკოვი, 1 თებ. რადიო. ფინეთის მთავრობამ მიმართა საგანგებო კომისარიატს პროტესტით იმის გამო, რომ თითქოს 6 იანვარს ფინეთის საზღვრები გადალახეს რუსეთის რაზმებმა, თავს დაესხნენ ფინეთის დარაჯებს და მოსპეს ტელეფონის კავშირი ფინეთის ტერიტორიაზე. ამის გამო ფინეთის მთავრობამ წარმოადგინა მოთხოვნა: 1) იმ პირთა დასჯა, რომლებიც დამნაშავენი არიან ფინეთის ზევით აღნიშნულ ტერიტორიაზე შეჭრაში, 2) ანაზღაურება ზარალისა, რომელიც მიაყენეს ფინეთის სახელმწიფოს და ფინეთის კერძო მოქალაქეებს, 3) ზომების მიღება, რომ არ განმეორდეს ანალოგიური მოქმედება.

ჩვენი აღსარება.

მოსკოვი. 1 თებერვალი (რადიო). ზევით მოყვანილ ცნობის საპასუხოდ საგარეო საქმეთა კომისარმა განუცხადა ფინეთის მთავრობას, რომ დაწვრილებითი გამოძიების შემდეგ გამოირკვა შემდეგი: რუსეთის ჯარების მიერ საზღვრების გადალახვას სრულიად არ ჰქონია ადგილი. წინააღმდეგ, საგარეო საქმეთა კომისარმა წარუდგინა ფინეთიდან მოსულ ბანდების მიერ მთელი რიგი შემთხვევები თავდასხმებისა რუსეთის დარაჯებზე და მოსაზღვრე სადარაჯოებზე, რომლებიც მდებარეობენ რუსეთის ტერიტორიაზე: ამასთან ბანდებმა მხეცურად დახოცეს სადარაჯოების უფროსები და წითელარმიელები. იყო შემთხვევები წითელარმიელების ცოცხლად ცეცხლზე დაწვისა. წითელ არმიელთა ნაწილები მიუხედავად აღშფოთებისა და პროვოკაციული მოქმედებისა ფინეთის ხელისუფლების მხრით, რომლებიც ეხმარებოდნენ ფინეთის ბანდებს,—სდევნიდენ და ერეკებოდნენ რა ამ უკანასკნელებს, არ გადასულან საზღვრებზე. ფინეთის მთავრობის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნა დამყარებულია ყალბ ფაქტებზე და გამოწვეულია იმ მოსაზრებით, რომ მიიმხრონ ფინეთის საზოგადოებრივი აზრი თავის მხარეზე და ან რუსეთის მოთხოვნას შესრულების მაგივრად გადავიდნენ მის წინააღმდეგ ახალ შეტევაზე—საგარეო საქმეთა კომისარის ნოტაში აღნიშნულია, რომ კონფლიქტი რუსეთსა და ფინეთს შორის, რომელიც გამოწვეულია ფინეთის მთავრობის მიერ, შეიძლება მოისპოს იმ მოთხოვნილების შესრულების შემდეგ, რომლებიც აღნიშნული იყვნენ, რუსეთის წინა ნოტებში.

ქრონიკა

◆ **ცენტრალურ საინსტრუქტორო ინსტიტუტში.** კვირას, 9 იანვარს, ინსტიტუტის ბინაზე (დიდი მთავრის ქუჩა, № 52) გაიმართა საუბარი თემაზე: „სასკოლო თვითმართველობა“. ამ საუბარს დაესწრო მრავალი ადგილობრივ სკოლის მუშაკი. საუბარი დაიწყო საღამოს 7 საათზე ამხანაგი ვოლკოვის შესავალ სიტყვის შემდეგ მოისმინეს შრომის სკოლების და ტეხნიკუმების წარმომადგენელთა მოხსენებები. მათ სკოლებში მოსწავლეთა თვითმართველობის პრაქტიკულად დაყენებითა და ამ საქმეში მიღწეულ შედეგების შესახებ. მერე გაიხსნა კამათი ამ საკითხის შესახებ, თანახმათ უწყებაში აღნიშნულ გეგმისა. კამათს გაცხოველებული ხასიათი ჰქონდა და გასტანა საღამოს 10 საათამდე.

◆ **სტატისტიკის კრებული.** ქალაქის სტატისტიკური განყოფილება შეუდგა ქ. თბილისის 1921 წ. სტატისტიკურ ცნობათა გამოცემას ევროპის ქალაქებთან შედარებით. კრებულში უმთავრესად მოთავსებული იქნება ქალაქის კომუნალურ წარმოებათა მუშაობა. ამას გარდა მასში იქნება მოთავსებული ცნობები ქ. თბილისის მომარაგების შესახებ, მომარაგება მუშებისა და მოსამსახურეებისა, ფასების მოძრაობა, დაწყებული 1917 წლიდან—1921 წლამდე და ვალიუტის მოძრაობა 1919—1921 წ. და საერთოდ ეკონომიურ და დემოგრაფიულ ხასიათის ცნობები. კრებულის გამოცემა განზრახულია შუა თებერვლისათვის.

◆ **პენსიების დანიშვნა.** განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილებით დაენიშნა პენსია კულტურის 140 მუშაკს, რომლებმაც შესწირეს თავიანთი ძალა და ენერგია თავისუფალი საქართველოს აყვავებას და კეთილდღეობას. მათ შორის არიან სხვა და სხვა დარგისა და სპეციალობის მუშაკნი: მწერლები, მეცნიერები, კომპოზიტორები, პედაგოგები, მუსიკოსები, მოქანდაკენი და სხვ. თვითეული პენსიის განსაზღვრის დროს ზემო ჩამოთვლილ პირთათვის მიღებული იყო მხედველობაში ის გარემოება, რომ ზოგიერთი დამსახურებული მოღვაწენი შრომის უნარს მოკლებულნი არ არიან, აქტიურად მუშაობენ მეცნიერების და ხელოვნების სათანადო დარგში და უჭირავთ საპასუხისმგებლო თანამდებობანი და ღებულობენ კუთვნილ გასამრჯელოს, ამიტომ ამ გვარ მოღვაწეთ დაენიშნათ შედარებით მცირე დახმარება. აღძრული არის საკითხი ამ პენსიების საზოგადოდ გადიდების შესახებ. აგრეთვე ახლო მომავალში შემუშავებული იქნება პენსიონერთა ახალი სია, რომელშიაც შევლენ ის მოღვაწენი და მწერლები, რომელნიც არ მოყვნენ პირველ სიაში.

◆ **სათბობ მასალის მიმღებთა საყურადღებოდ.** ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის 17 იანვრის № 412 დადგენილების თანახმად სათბობის განყოფილება ამით აცნობებს, რომ 25 იანვრიდან ყოველ გვარ სათბობი მასალის მიმღებნი აღჭურვილი უნდა აქნენ სათბობის მისაღები მანდატებით; თუ მიმღებს დავალებული აქვს სათბობის მუდმივად მიღება, მაშინ მას უნდა ჰქონდეს სათანადო მანდატი მისი მოქმედების ვადის აღნიშვნით. იმ დაწესებულებათა წარმომადგენლებსაც კი, რომელთაც პირადად იცნობს სათბობის განყოფილება, არ მიეცემათ არც სათბობის მისაღები ორდერი და არც სათბობი განყოფილების საწყობებიდან, თუ მათ არ ექნებათ აღნიშნული მანდატი.

◆ **გაზ. „სტუდენტის დღე“.** რედაქციამ მიიღო სახელმწიფო უნივერ. სტუდენტთა წარმომადგენლების საბჭოს მიერ სტუდენტთა ტრადიციულ დღის—26 იანვრის აღსანიშნავად გამოცემული გაზ. „სტუდენტის დღე“. გაზეთი შინაარსიანათ და ლამაზადაა გამოცემული.

შრომისა და ტვირთ-ზიდვის გადასახადი

შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილება № 3.

შრომისა და ტვირთ-ზიდვის საგადასახადო პერიოდების დაწესების შესახებ.

24 იანვარი, 1922 წელი.

1. მცხოვრებთათვის შრომის და ტვირთსაზიდ საშუალებათა გადასახადის (ხარკის) შესრულების გასაადვილებლად და მის შესათანხმებლად სასოფლო-სამეურნეო ინტერესებთან, დაწესდეს 1922 წლისათვის შემდეგი საგადასახადო პერიოდები:

ა) პირველი 1-ლ თებერვლიდან 31 მარტამდე—2 დღე.

ბ) მეორე 1-ლ აპრილიდან 30 სექტემბრამდე,—1 დღე.

გ) მესამე 1-ლ ოქტომბრიდან 31 დეკემბრამდე—3 დღე.

2. პირველ მუხლში აღნიშნული განაწილება საგადასახადო პერიოდებისა შეიძლება შეცვლილ იქმნას ადგილობრივ პირობათა მიხედვით; სამაზრო ეკონომიურ თათბირსა და შრომის განყოფილების შეთანხმებით. ეს ცვლილება უნდა დამტკიცებულ იქმნას შრომის სახალხო კომისარიატის მიერ.

შრომის სახალხო კომისარის მოადგილე **მიქაძე.**

შრომის გადასახადის და ბეგარათა განყოფილების გამგე **გოდაბრელიძე.**

შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილება № 4.

შრომისა და ტვირთ-ზიდვის გადასახადის შესრულების დროს მანძილის განსაზღვრის შესახებ.

24 იანვარი 1922 წელი.

1. შრომისა და ტვირთ-ზიდვის გადასახადის შესრულების დროს განისაზღვროს მანძილი, რომელიც საჭიროა გადამხდელის საცხოვრებელი ბინიდან სამუშაო ადგილამდე გასავლელი:

2. შრომის გადასახადის დროს ფეხით მოსიარულეთ 7 ვერსი.

3. ტვირთ-ზიდვის საშუალებათათვის 20 ვერსით.

4. იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა მე-2 და მე-3 მუხლებში აღნიშნულ მანძილის გადიდება, დრო ზედმეტი მანძილის გავლისა უნდა ჩაითვალოს მუშაობის ნაწილის შესრულებაში.

შრომის სახალხო კომისრის მოადგილე **მიქაძე.**

შრომის გადასახადის და ბეგარათა განყოფილების გამგე **გოდაბრელიძე.**

შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილება № 5.

მცხოვრებთა მიერ შრომისა და ტვირთ საზიდავ საშუალებათა გადასახადის მოხდის დროს განთავისუფლების და შეღავათების შესახებ.

საქართველოს რევოლუციონურ კომიტეტის 25 იანვრის, 1922 წ თარიღით და მე-90 ნომრით გამოცემულ შრომისა და ტვირთ-საზიდის გადასახადის შესახებ დეკრეტის მე-8 მუხლის განსაკუთარებლად, შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

ა) შრომის გადასახადისაგან განთავისუფლება და შეღავათები:

ამ გადასახადისაგან სრულიად განთავისუფლებულ უნდა იქმნენ:

ა) ისეთი ავადმყოფნი და ფიზიკური ნაკლის მქონენი, რომელნიც ჩამოთვლილნი არიან რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატის საექიმო საკონტროლო კომისიის მიერ სახელმძღვანელოდ მიღებულ ავადმყოფობათა ცხრილში და იქ ნაჩვენებ ვადებზე გადასინჯვის წესების დაცვით.

ბ) ინვალიდები, რომელთაც შრომის უნარი 40 პრ.-ით და მეტად დაჰკარგეს.

გ) ერთად-ერთი მომუშავე, წითელ არმიელის ოჯახში და იმათ ოჯახებში, ვინც წითელ არმიის საკამანდო შემადგენლობას ეკუთვნის.

დ) მუშები და მოსამსახურეები სახელმწიფო დაწესებულების, წარმოების და მეურნეობისა.

ე) პროფესიონალურ ორგანოებში და მუშების კოოპერატივებში მომუშავენი.

ვ) მოსწავლენი და მასწავლებელნი სახელმწიფო და კერძო სასწავლებლებისა, აღნიშნულნი განათლების სახალხო კომისარიატის მიერ შემოწმებულ სიებში.

2. შრომის გადასახადისაგან დროებით, ცალკე პერიოდის განმავლობაში, განთავისუფლებულ უნდა იქმნენ ისინი, ვინც ხანგამოშვებითი სენით (ციებ ცხელებით და სხვა ამგვარი) ავადმყოფობენ, ამასთან რამდენად ეს ავადმყოფობა ხანგრძლდება საგადასახადო პერიოდის მთელ დროში.

3. იმათ ავადმყოფობას და ინვალიდობას, ვინც ჩამოთვლილნი არიან 1-ლ მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში და მეორე მუხლში, ამოწმებენ საბჭოთა ამბულატორიები, ხოლო სადაც ასეთი ამბულატორიები არ არის, სახელმწიფო საექიმო სამსახურში მყოფი ექიმები.

1-ლ მუხლის „გ“ პუნქტში აღნიშნულ გარემოებას ამოწმებს სასოფლო-საბჭოს თავმჯდომარე.

1-ლ მუხლის „დ“, „ე“ და „ვ“ პუნქტებში აღნიშნულ გარემოებათა შემოწმება ხდება სათანადო დაწესებულებათა მიერ მიცემულ საბუთებით.

ბ) ტვირთ-საზიდავ საშუალებათა გადასახადისაგან განთავისუფლება და შეღავათები.

4. ამ გადასახადისაგან სრულიად განთავისუფლებულ უნდა იქმნენ:

ა) ცხენები, სამ წელზე ნაკლებ ხნისანი, ხარები, კამეჩები და სხვა მუშა საქონელი ორ წელზე ნაკლებ ხნისანი;

ბ) ის მუშა-საქონელი, რომელმაც შრომის უნარი დაჰკარგა;

გ) ისეთი მუშა საქონელი, რომელსაც მუშაობა არ შეუძლია იმ ავადმყოფობის გამო, რომელიც ჩამოთვლილია მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის საბეითლო პერსონალისათვის გამოცემულ ინსტრუქციებში;

დ) მუშა-საქონელი სახელმწიფო დაწესებულების, წარმოებისა და მეურნეობისა; აგრეთვე ის მუშა-საქონელი, რომელიც ეკუთვნის სახელმწიფო მომუშავეებს, თუ ეს საქონელი საჭიროა მხოლოდ სახელმწიფო მოვალეობათა ასასრულებლად;

ე) ის მუშა-საქონელი, რომელიც გადამხდელთა სიით ითვლება 60 პროც.-ზე მეტი შრომის უნარ დაკარგულ სახლობაზე ან ისეთ კომლზე, რომელსაც შრომის უნარიანი მამაკაცი არ ჰყავს.

5. ცალკე პერიოდის განმავლობაში ტვირთ-საზიდავ საშუალებათა გადასახადისაგან განთავისუფლებულ უნდა იქმნენ:

ა) მუშა-საქონელი, დაავადებული იმ ხანგამოშვებითი სენით, რომელიც ჩამოთვლილია მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ საბეითლო პერსონალისათვის გამოცემულ ინსტრუქციაში, ამასთან განთავისუფლება ხდება ავადმყოფობის დროს, აგრეთვე გადამდები სენით შეპყრობილი ის საქონელი, რომლისთვისაც იზოლიაციაა საჭირო; ამ შემთხვევაში განთავისუფლება ხდება მხოლოდ იზოლიაციის დროს;

ბ) მაკე საქონელი, (ცხენი, კამეჩი და სხვა) სამი თვის ადრე მაკეობამდე და თვის განმავლობაში მოგების შემდეგ, თუ მოგებული ცოცხალი დარჩა და დედის ძუძუთი იკვებება;

გ) მუშა-საქონელი იმ სოფლებისა, სადაც კარანტინია დაწესებული, კარანტინის მოხსნამდე;

დ) მუშა საქონელი, რომელიც გადასახადის გადამხდელთა სიით მე-2-ე მუხლში აღნიშნულ პირებზე ითვლება, თუ ამ პირების ოჯახებში სხვა შრომის უნარიანი მამაკაცი არ მოიპოვება; გათავისუფლება ხდება იმ ხნის განმავლობაში, რა ხნითაც მუშა საქონლის პატრონი, თანახმად ხსენებულ მე-2-ე მუხლისა, გადასახადისაგან თავისუფლდება.

6. მუშა-საქონლის წლოვანებას ამოწმებს საბეითლო პუნქტი ან საბჭოთა სამსახურში მყოფი ბეითალი. მე 4-ე მუხლის ბ) და გ) პუნქტებში და მე-5-ე მუხ. ა ბ) და გ) პუნქტებში აღნიშნულ გარემოებას ამოწმებს საბეითლო პუნქტი, ხოლო სადაც ის არ არის, საბჭოთა სამსახურში მყოფი ბეითალი.

მე 4-ე მუხლის დ) პუნქტში აღნიშნულ გარემოებათა შემოწმება ხდება შესაფერ დაწესებულებათა მიერ მიცემულ საბუთებით.

მე-4 ე მუხ. გ) პუნქტსა და მე-5 მუხ. დ) პუნქტში აღნიშნულ გარემოებას ამოწმებენ:—იმათ შესახებ, ვისი ოჯახშიაც სხვა შრომის უნარიანი მამაკაცი არ არის—სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო იმათ შესახებ, ვინც შრომის გადასახადის გადახდის დროს შეღავათით სარგებლობს და ვიზედაც გადამხდელთა სიით საქონელი ითვლება—იმ წესით, რომელიც აღნიშნულია მე 3-ე მუხლში.

7. ის [illegible] დაწესებულებანი თუ პირნი, რომელნიც ამ დადგენილებას დაარღვევენ ან გასცემენ არასწორე საბუთებს, რომელსაც შედეგად მოჰყვება ვინმეს გათავისუფლება შრომის და ტვირთ-საზიდავ საშუალებათა გადასახადისაგან, საერთო წესით იქნებიან მიცემულნი პასუხისგებაში სასამართლოს წინაშე.

შრომის სახალხო კომისრის მოადგილე **ა. მიქაძე.**

შრომის გადასახადის და ბეგარათა განყოფილების გამგე **ს. გოდაბრელიძე.**

საბჭოთა არჩევნები საქართველოში

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ტფილისის სამაზრო საარჩევნო კომისიისაგან მიუვიდა შემდეგი დამატებითი ცნობები მაზრაში არჩევნების მიმდინარეობისა და მათი შედეგების შესახებ:

1. **ყარაიაზის თემში:** სათემო საბჭოში არჩეულია სულ 40 დეპუტატი, მათ შორის კომუნისტი 23 და 17 უპარტიო გლეხი. აღმასკომში შედის ხუთი ამხანაგი, 4 კომუნისტი და ერთი უპარტიო გლეხი. სამაზრო ყრილობისათვის არჩეულია 6 ამხანაგი, მათ შორის ხუთი კომუნისტი (ერთი ქალი) და ერთი უპარტიო გლეხი. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო სულ 3,500 კაცმა და ქალმა. მიღებულ ცნობებით არჩევნები ჩატარებულა დიდ უმრავლესობის მონაწილეობით. შესანიშნავია, რომ ერთ სოფელში მუსულმანი ქალებიც დასწრებიან საარჩევნო კრებას.

2. **ახურეთის თემში.** სათემო საბჭოში არჩეულია სულ 46 დეპუტატი, მათ შორის კომუნისტი 25 და 21 უპარტიო გლეხი. აღმასკომში შედის ხუთი ამხანაგი ყველა კომუნისტი. სამაზრო ყრილობისათვის არჩეულია ხუთი ამხანაგი, ყველა კომუნისტი, მათ შორის ერთი ქალი.

არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 3,000 კაცმა და ქალმა. არჩევნები ჩატარებულია დიდი უმრავლესობის აქტიური მონაწილეობით.

3. **დიღმის თემში.** სათემო საბჭოში არჩეულია სულ 20 დეპუტატი, მათ შორის 10 კომუნისტი და 10 უპარტიო გლეხი. აღმასკომში შედის სამი წევრი, ორი კომუნისტი და ერთი უპარტიო გლეხი. სამაზრო ყრილობისათვის არჩეულია ორი ამხანაგი,—ერთი კომუნისტი და ერთი უპარტიო გლეხი.

არჩევნები ჩატარდა უმრავლესობის აქტიური მონაწილეობით.

4. **ნორიოს თემში.** სათემო საბჭოში არჩეულია სულ 30 დეპუტატი, მათ შორის კომუნისტი 21 და 9 უპარტიო გლეხი. აღმასკომში შედის სამი წევრი—ორი კომუნისტი და ერთი უპარტიო მუშა ინტელიგენტი. სამაზრო ყრილობისათვის არჩეულია სამი ამხანაგი, ყველა კომუნისტი (მათ შორის ერთი ქალი).

5. **თელეთის თემში.** სათემო საბჭოში არჩეულია სულ 16 დეპუტატი, მათ შორის კომუნისტი 10 და 6 უპარტიო გლეხი. აღმასკომში შედის სამი წევრი, ყველა კომუნისტი. სამაზრო ყრილობისათვის ორი დელეგატი, კომუნისტი.

6. **პრიუტის თემში.** სათემო საბჭოში არჩეულია 23 დეპუტატი, მათ შორის კომუნისტი სამი, თანამგრძნობი გლეხები ოცი, აღმასკომში შედის სამი წევრი, მათ შორის ერთი კომუნისტია და ორი თანამგრძნობი გლეხი. სამაზრო ყრილობისათვის არჩეულია ორი დელეგატი, ერთი კომუნისტი და ერთი თანამგრძნობი გლეხი.

არჩევნები ჩატარდა დიდი უმრავლესობის აქტიური მონაწილეობით.

დასასრულ აღსანიშნავია, რომ სამ დღეში საბჭოების არჩევნები დამთავრდება მთელ მაზრაში, სამაზრო ყრილობა სხვა და სხვა ტეხნიკურ დაბრკოლებების გამო გადადებულია 2 თებერვლისათვის.

საუბარი პარტიულ ყრილობის დელეგატთან

სენაკის მაზრა.

ბანძის რაიონის პარტკომის პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. ბართაიამ გვიამბო შემდეგი:

პარტიული მუშაობა.

პარტიულ ორგანიზაციის წევრთა საზოგადო რიცხვი გაწმენდის შემდეგ დარჩა—2123, გაწმენდამდე—კი ეს რიცხვი აღწევდა 2500-მდე. შემადგენლობა უმთავრესათ გლეხებია, მუშები სულ 100-მდეა, ესენი იმყოფებიან განსაკუთრებით ახალ-სენაკში.

რამდენი უჯრედია მთელ მაზრაში,—ამხანაგმა არ იცის ზედმიწევნით, ხოლო ბანძის რაიონში მათი რიცხვი უდრის—19. მთელი მაზრა გაყოფილია 7 პარტიულ რაიონათ.

ქალებში მუშაობა სუსტათ სწარმოებს. ქალთა განყოფილების გამგე არის მარტო სამაზრო პარტკომში, ხოლო სარაიონო პარტკომებს ისინი არა ყავს. ქალთა უჯრედები არსებობენ, მაგრამ ისინი სუსტათ მოქმედებენ იშვიათათ მართავენ კრებებს.

კულტურული მუშაობაც ვერაა კარგათ დაყენებული. სამაზრო ცენტრში არსებობს კლუბი, რაიონებში—სამკითხველოები. მაგრამ სოფლებში—კი თითქმის არსად არაა სამკითხველო. ლიტერატურას ღებულობენ მეტათ ცოტას და ძლიერ უწესრიგოთ. გაზეთები, მაგალითათ, მოაქვთ 2—3 კვირაში ერთხელ, ხანდახან, მეტათ იშვიათათ, უფრო ხშირათაც. ამიტომ პოლიტიკურ და პროპაგანდისტურ მუშაობაში ჩვენ ვერას დროს ვერ მივდევთ კვალ და კვალ ცენტრს.

კოლექტიური მუშაობა.

მაზრაში არსებული სპეციალური პირობები ძალას ატანენ პარტიულ ორგანიზაციებს, რომ ამ საკითხს მიაქციონ დიდი ყურადღება, გარდა შაბათობებისა და კვირაობებისა, რომლებშიაც უმთავრესათ მონაწილეობას იღებენ პარტიული ამხანაგები და ნაწილობრივ უპარტიო გლეხობა (ტყის საჩეხათ, გზების და ხიდების შესაკეთებლათ და სხვა),—ჩვენ დაგვჭირდა კოლექტიური მუშაობის მოწყობა შრომის ბეგრის წესრიგით. ეს გამოიწვია აუცილებელმა საჭიროებამ—სასწრაფოთ უნდა გაგვემაგრებინა ნაპირები მდინარე ცხენის წყლისა, რომელმაც თავის ადიდებით საშინელი ზარალი მიაყენა მოსახლეობას. ამ მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ბანძის მარტვილის (ნოღალეევის) და აბაშის რაიონების გლეხობამ. ეს ბეგარა ადვილი როდია—10 დღის მუშაობა თვეში, მაგრამ მოსახლეობა ხალისიანათ ეწევა ამ შრომას, რადგან ნათლათ ესმის, რომ იგი თავისთვის, საკუთარ ინტერესებისთვის მუშაობს.

საგიტაციო კამპანიები.

ყველა საგიტაციო კამპანიებმა, რომლებსაც აწარმოებდა ორგანიზაცია, ჩაიარეს დიდის წარმატებით მაგალითად, კამპანიები ფედერაციის, სანიტარულ გადასახადისა, სასურსათო გადასახადის სასარგებლოთ: მან გაფანტა გლეხთა მასსებში ყველა ეჭვ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნისტური პარტიის სრულიად რუსეთის კონფერენცია

გრძელდება კამათი ამხ. ზინოვიევის მოხსენების გამო კომინტერნის შესახებ.

სიტყვა ეძლევა ამხ. სოკოლნიკოვს.

ამხ. სოკოლნიკოვი.

ამხ. ზინოვიევის მოხსენებიდან, ამხ. ტროცკის სიტყვიდან, თითქოს გამომდინარეობს დისკუსია, რომელსაც კომინტერნის პოლიტიკისათვის, ჩვენი პარტიის პოლიტიკისათვის აქვს უდიდესი პრაქტიკული და პრინციპიული მნიშვნელობა. ზინოვიევი ამბობდა ევროპის მუშათა მასსების გამემარცხენების შესახებ. ამ გამემარცხენებას მართლაც აქვს ადგილი, გამარჯვებულ ქვეყნებშიაც, როგორც მაგ. ინგლისში, და დამარცხებულ ქვეყნებშიც მაგ. გერმანიაში, სადაც მე ვიყავი უკანასკნელ ხანებში, რამდენიმე თვე. ეს გამემარცხენება არის ფაქტი და თვითეულ მიუდგომელ თვალს შეუძლიან მისი შენიშვნა. რა ნიადაგზე ხდება მასსების ეს გამემარცხენება? ზინოვიევმა განაცხადა, რომ იგი არის შედეგი კაპიტალის შემოტევისა, ე. ი. კრიზისის გაძლიერებისა, ტროცკიმ წამოაყენა სრულიად საწინააღმდეგო თვალსაზრისი. მისი აზრით გამემარცხენებას აქვს ადგილი იმიტომ, რომ ახალი ხანა ეკონომიკისა და პოლიტიკის განვითარებაში წარმოიშვა მრეწველობის გამოცოცხლების ნიადაგზე. ზინოვიევმა აღნიშნა, რომ ევროპაში დაიმსხვრა რეფორმისტული ილუზიები და ამ გარემოებას აჩქარდა კრიზისის უკიდესი გამწვავების მომენტს. ამხ. ტროცკი იზიარებს რეფორმისტული ილუზიების ჩაქრობის ფაქტს, მაგრამ ხსნის მას კრიზისის მოლევნებით. აქ არის სრულიად სხვა და სხვა შეფასება იმ მდგომარეობისა, რომელშიაც ამჟამად იმყოფება ევროპა და ამერიკა. ორი გზაა: ან კაპიტალისტურმა ქვეყნებმა ჩაატარეს რა იმპერიალისტური ომი, ალიკვიდებენ რა საომარ ეპოქას იწყებენ დღეს ეკონომიური წონასწორობის აღდგენას კაპიტალისტური ურთიერთობის საფუძველზე. სხვანაირად რომ ვთქვათ,— კაპიტალისტური მატარებელი, რომელიც იმპერიალისტური ომის მიერ გადაგდებულ იქნა ლიანდაგიდან, ეხლა კაპიტალისტურ მთავრობათა, დიპლომატთა, ბანკირთა და მეორე ინტერნაციონალის მოღვაწეთა ენერგიით კვლავ შესდგა გზაზე, და არის შანსები, რომ ეს მატარებელი გასწევს წინ ისე დაუბრკოლებლად როგორც დიდ იმპერიალისტურ ომამდე. წონასწორობა კაპიტალისტურ ურთიერთობის საფუძველზე, ევროპაში აღდგენის პროცესშია. ეს არის ერთი თვალსაზრისი; რამდენიმეთ ეს შეხედულება გამაგრებულია ამხ. ტროცკის მოხსენებით. მაგრამ თუ ეს ასეა, ჩვენი პერსპექტივები მეტად უნუგეშო ყოფილა, ვინაიდან თუ კაპიტალისტური წონასწორობა აღსდგა მთელ მსოფლიოში, ეს იმას ნიშნავს, რომ ბატონი კაპიტალი ამა თუ იმ ფორმით შესჭამს საბჭოთა რუსეთს (ხმა ადგილიდან: „ამა თუ იმ ფორმით?") დიახ, ამა თუ იმ ფორმით, ან ამა თუ იმ ფირმით. მეორე თვალსაზრისი მდგომარეობს იმაში, რომ კრიზისი გრძელდება. უნდა ვსთქვათ, ამხ. ტროცკი თავის მოხსენებაში კომინტერნის მე 3 კონგრესზე და აქაც, მაინც და მაინც სწორად ვერ მიუდგა საკითხს; ის წყაროებიც, რომელსაც ეყრდნობა ტროცკი—ვარგი და პავლოვსკი,—ასევე სინჯავენ მდგომარეობას. ესენი დადგნენ წმინდა ეკონომიზმის თვალსაზრისზე, ცდილობენ ციფრებით, ფაქტებით დაასაბუთონ, სად რამდენი თუჯი გაკეთდა. სად რამდენი ქვანახშირია ამოღებული, და თუ შეამჩნიეს, რომ მაგ. სადმე ქვანახშირის ამოღება გაიზარდა 0,5 პროცენტით, უკვე ამტკიცებენ, რომ იწყება მრეწველობის აღორძინება; თუ 0,1 პროცენტით სადმე იკლო უმუშევართა რიცხვმა, ამბობენ რომ უმუშევრობა სუსტდება და იწყება წონასწორობა. შეუძლებელია საკითხს შევხედოთ მხოლოდ წმინდა ეკონომიზმის თვალსაზრისით და ყურადღება არ მივაქციოთ კაპიტალისტური გიგანტების, კაპიტალისტურ სახელმწიფოებას პოლიტიკურ ბრძოლას, რომელიც არსებითად არის იგივე ეკონომიკა. ესე იგი. 2) ეკონომიური ფაქტორი; ის, რაც ხდება ევროპაში, არის ახლოდ გაგრძელება იმპერიალისტური ომისა, მაგრამ სხვა ნიადაგზე, ზარბაზნებით კი არა, ეკონომიურ ნიადაგზე. ეს იგივეა, რასაც ჩვენ ვამბობდით ჩვენი პოლიტიკის შესახებ,—რომ ჩვენ ვაგრძელებთ ბრძოლას ბურჟუაზიასთან იარაღით კი არა, როგორც ეს წინად იყო, არამედ ეკონომიური ბრძოლის, ეკონომიური მეჯიბრების მეთოდებით. და აგრეთვე პოლიტიკური ბრძოლის, პოლიტიკური ზეგავლენის მეთოდით, როგორც მეორე ხარისხოვანი იარაღით. ბრძოლის მეთოდის ასეთივე შეცვლა ხდება კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის; გერმანია არ ებრძვის საფრანგეთს, მაგრამ საფრანგეთი აწარმოებს ეკონომიურ ბრძოლას გერმანიის წინააღმდეგ და აიძულებს მას პირველი წელიწადს გადაიხადოს სამი მილიარდი ოქრო, ხოლო შემდეგ წლებში ოთხ-ხუთი მილიარდი. ეკონომიური ბრძოლა გამოიხატება იმაში, რომ ზემო სილეზია ჩამოსჭრეს გერმანიას, ეკონომიური ბრძოლა არის ის, რომ საფრანგეთის კორპუსები სდგანან რურის ქვანახშირში, უომლისოდ გერმანიის სიცოცხლე არ შეუძლიან. რა არის ეს?,—ეკონომიური წონასწორობის აღდგენა? არა,—ეს არის გაგრძელება იმ განადგურებისა, რომელიც ომის შედეგია, და რომლის გამოკლება სათვალავიდან ყოვლად შეუძლებელია. ფინანსიური კრიზისი, რომელიც ძირს უთხრის ევროპას, ავსტრიაში, ბურჟუაზიულ ქვეყანაში, სადაც არ ყოფილა ბოლშევიკური მთავრობა, კრონა უარეს ჩვენ საბჭოთა მანეთს) ეს შემთხვევითი შედეგი კი არ არის ვერსალის ზავისა, არამედ შედეგია ეკონომიური ომისა, რომელიც გააგრძელებს გაჩანაგებას კაპიტალისტურ ქვეყნებში და რომელიც არ აძლევს ფინანსებს გამაგრების საშუალებას. მე ვფიქრობ რომ უკანასკნელი თვალსაზრისი სწორია, და ტროცკი, სდგება რა წმინდა ეკონომიზმის თვალსაზრისზე, გვაწვდის ერთგვარ ილუზიებს; ეს ილუზია იხატება იმაში, რომ როდესაც კომინტერნის მე-3 მე კონგრესზე ტროცკი ამტკიცებს, რომ ვერსალის ხელშეკრულების დაწყებულ განადგურებისა და მილიარდების გადახდის გამო, იწყება ხოლო წონასწორობისა, არა მტკიცე წონასწორობისა, მაგრამ მაინც წონასწორობისა, სწორედ ამ დროს ევროპაში ყველაფერი ყირამალა დადგა. ამხანაგებო, ამხ. ტროცკის ის თვალსაზრისი, რომ იწყება მრეწველობის გამოცოცხლება, რომ არის სიმპტომები ამ აღორძინების ზოლისა, ეს თვალსაზრისი, შობს შედეგებს, ფრიად მნიშვნელოვანს ჩვენი პოლიტიკისათვის. მაგრამ ვიდრე ამ საკითხზე გადავიდოდე, ნება მიბოძეთ ზოგიერთი ციტატა მოვიყვანო ამხ. პავლოვსკის წიგნაკიდან, („გერმანიის გაკოტრება"), რომელიც ამას წინად, დაიბეჭდა და რომელსაც ეყრდნობა ამხ. ტროცკი. 68 გვერდზე პავლოვსკი ამბობს: კაპიტალისტური ვითარება გერმანიაში არის ხანგრძლივი კრიზისის მდგომარეობაში; აქედან გამოსვლა შეიძლება ან სოციალური რევოლუციის გზით, ან იმით, რომ გერმანია უნდა დაუბრუნდეს ბარბაროსობას". მაშასადამე აქ ლაპარაკია მუდმივ კრიზისზე. თქვენ იტყვით, რომ შესაძლებელია მრეწველობის გამოცოცხლება; 72 გვერდზე ვკითხულობთ: „ამიტომ გერმანიის კრიზისი არის მუდმივი კრიზისის მდგომარეობაში, მიუხედავად მხოლოდ ფიქტიური გაუმჯობესებისა". აქ გვაქვს ის პავლოვსკი, რომელსაც ხელმძღვანელობას ამხ. ტროცკი, ლაპარაკობს მხოლოდ ფიქტიურ, დროებით გაუმჯობესებაზე, რომელსაც არსებითად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და რომელსაც ტროცკიმ სწორედ ასეთი მნიშვნელობა მიანიჭა. რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, კომუნისტური პოლიტიკისათვის იმ თვალსაზრისს, რომელიც მე არ ვიტყვი, რომ ტროცკის სისრულით და კატეგორიულად გამოეთქვა. მაგრამ რომელსაც იგი უხალისოდ ეთანხმებოდა. თუ ვსთქვით, რომ დღეს იწყება გამოცოცხლება, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი იწყება უჩვენოთ, ე. ი. ურუსეთოდ. მაშასადამე ამ აღორძინების ინტერესებისათვის კაპიტალისტური სამყარო არ არის იძულებული შევვითანხმდეს ჩვენ. ხოლო თუ ეს ასეა, თუ ევროპა და ამერიკა უჩვენოთ დგება ფეხზე, ეს, თავის მხრივ, იმას ნიშნავს რომ ჩვენ დაარცხებულნი ვართ, ვინაიდან ჩვენ აღარ ვყოფილვართ საჭირო კაპიტალისტური მანქანის ამოქმედებისათვის.

ჩვენი თვალსაზრისი შემდეგში მდგომარეობს: დღეს არ არის არავითარი წინსვლა მრეწველობაში, და კაპიტალიზმს უჩვენოდ არ შეუძლიან. ამის შესახებ გაიძახის მთელი ევროპა და ყველა, ვინც თვალს ადევნებს ევროპის პრესას, თუ გინდ იმ მცირე ამონაწერებით, რომელიც ჩვენ მოგვდის, დარწმუნდება რომ საფრანგეთი, გერმანია და ინგლისი ღაღადებენ, რომ მათ არ შეუძლიათ ეკონომიური კრიზისიდან გამოსვლა რუსეთის მონაწილეობის გარეშე, რუსეთის ნედლი მასალის გარეშე, რუსეთის ბაზრის გარეშე, ჩვენი მეტყლიანი და სხვა სიმდიდრის გამოყენების გარეშე. სწორედ ამიტომ არის იძულებული ევროპა გველაპარაკოს ჩვენ შეთანხმებაზე.

აი, ამიტომ ლოიდ ჯორჯის გაზეთი იძულებულია ილაპარაკოს იმის შესახებ, რომ საჭიროა კონფერენციის მოწვევა ბოლშევიკების მონაწილეობით; კაპიტალისტური მსოფლიო დარწმუნებულია, რომ ჩვენზე, პროლეტარულ სახელმწიფოზე უნდა გაიაროს მისი აღორძინების გზამ. ამის გამო ჩვენ ვაქცევით უდიდეს ძალად რომელიც მომავალში წაუყენებს ევროპას თავის პირობებს, თუ, რასაკვირველია, ახალი ეკონომიურ-ფინანსიური პოლიტიკის გზაზე ჩვენ სწრაფად განვახორციელებთ მობილიზაცია ჩვენი ძალებისა და მოვსპობთ დღევანდელი დანგრეული მდგომარეობა. უეჭველია, იმ პერსპექტივაში, რომელსაც ამხ. ტროცკი სახავს არის ლოღიკური კავშირი. ამხ. ტროცკი აქედან დაასკვნის რომ ომი აუცილებელი მოვლენაა. ჭეშმარიტად, რაკი კაპიტალისტური მსოფლიოს არ სჭირდება ჩვენ ანგარიში გაგვიწიოს, მას შეუძლიან ჩვენი ამოგდება სათვალავიდან, შეუძლიან საბჭოთა ხელისუფლების მოსპობა. უეჭველია, რომ ახალი ომი შეუძლებელი არ არის, მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ეს ომი არ არის მალედუხებელი, ან განსაკუთრებით მიუხდველი კაპიტალისტური ევროპისათვის რომელიც იმყოფება ეკონომიური დაშლის და კრიზისის მდგომარეობაში, და რომელიც იძულებულია დაადგეს ეკონომიური შეთანხმების გზას ჩვენ თან; ასეთ პირობებში, ევროპას არ შეუძლიან ასე ადვილად, და ხალისით გადასწყვიტოს ომის დაწყება.

სალაპარაკო დრო გამითავდა; მე აღარ გავაგრძელებ ჩემ სიტყვას. როგორც ამხ. რადეკი ამბობს, მე მზად ვარ ვიყო მორიდებული, მაგრამ მიუხედავად ჩემი კრძალვისა და მორიდებისა, მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ კომუნისტურ პარტიას სრულიად არ სჭირდება იყოს მაინც და მაინც მორიდებული; სისუსტე კაპიტალისტური ევროპისა, რომელსაც დღეს არ გააჩნია არავითარი გამოსავალი, გაცილებით მეტია ვიდრე ის, რომლის შესახებაც ამხ. ტროცკი ლაპარაკობდა.

სიტყვა ეძლევა ამხ. ბუხარინს.

ამხ. ბუხარინი.

ტროცკიმ ორი დასკვნა მოგვცა,—ერთი, რომ ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენ წითელ არმიას, მეორე, რომ ზინოვიევის თეზისები სწორია. ამ დასკვნაში მე და ტროცკის შორის არ არის აზრთა სხვადასხვაობა. ეს არის მხოლოდ იმ დებულების შეფასებაში, რომ უთანხმოება შეიძლება პრაქტიკულად წამოიჭრეს რომელიმე სხვა საკითხში,—რომელში,—ამის წინასწარ გათვალისწინება ძნელია.

უპირველესად ყოვლისა მე ვაყენებ შემდეგ საკითხს: თუ კი დღეს მსოფლიო მეურნეობა, ან, ყოველ შემთხვევაში, ეკონომიკა მრეწველობის ხრივ უფრო მნიშვნელოვანი ქვეყნებისა, შესდგა აღორძინების გზაზე, რით უნდა აიხსნას ბურჟუაზიის შეტევა მუშათა კლასის წინააღმდეგ? მე მგონია,—რომ მართლა საქმე ასე იყოს, რომ მრეწველობას წინსვლა ეჩჩნიოდეს, მაშინ ბურჟუაზიას მეტი საფუძველი ექნებოდა მიემატებია საჭკი მუშათა კლასისათვის და სრულიადაც არ დაეწყო გენერალური შეტევა. სინამდვილეში საქმე სულ სხვანაირად არის, ვინაიდან მნიშვნელოვან ქვეყნების ეკონომიკა დღეს იმყოფება უდიდესი კრიზისის მდგომარეობაში. ამით აიხსნება ბურჟუაზიის გალაშქრება მუშათა კლასის წინააღმდეგ. ბურჟუაზია დღეს ისეთ მდგომარეობას განიცდის, რომ მისთვის აუცილებელია რაიმე დამატებითი წყარო. საიდან უნდა გაჩნდეს ეს წყარო? რომ აღორძინება ნამდვილი ამბავი იყოს, რომ კაპიტალი განვითარების პროცესში იყოს, რომ იზრდებოდეს დასამატი ღირებულება, რომ საწარმოო ძალთა მრუდე ხაზი ზრდამა მიდიოდეს, მაშინ, თავის თავად ცხადია, რომ თავის მოთხოვნილებას, თავის მიმდინარე ხარჯებს ბურჟუაზია დაფარავდა ამ ღირებულებიდან. მაგრამ ეს არ არის, აკუმულიაცია არ ხდება საჭირო მასშტაბით, საწარმოო ძალები არ ვითარდება, და ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ბურჟუაზიისათვის რჩება ერთად ერთი წყარო ხარჯების დაფარვისა,—ეს არის ეროვნული შემოსავალის იმ ნაწილის შემცირება, რომელსაც იღებს მუშათა კლასი; ეს იბადება ჯერ ერთი სამუშაო საათების გადიდებაში და მეორეც,—სამუშაო ხელფასის შემცირებაში. ამითი არის გამოწვეული გენერალური შეტევა მსოფლიო ბურჟუაზიისა პროლეტარიატის წინააღმდეგ. ეს მოვლენა, რომელიც სოციალ-პოლიტიკურად ისახება შეტევაში, არის დაცა დასტურებული იმ ძირითადი ფაქტორისა ეკონომიური ცხოვრების სფეროში, რომ მთელი ეკონომიკა ოდნავადაც არ გაიზარდა, არამედ, წინააღმდეგ, პირუკუ მიდის. ამხ. ტროცკი სავსებით მართალია, როდესაც ამბობს, რომ დღეს ბურჟუაზია არ არის იმდენად გარეტიანებული, როგორც დემობილიზაციის დროს.

მისი სახელმწიფოებრივი აპარატი გამაგრდა. ის პანიკური მდგომარეობა, რომელსაც იგი განიცდიდა, ამ ჟამად შეიცვალა უფრო იმედიანი განწყობილებით. ეს მართალია. მაგრამ ეს ფაქტი სრულიად არ ეწინააღმდეგება იმ ძირითად ფაქტს, რომ ეკონომიკა სდგას დაქვეითების გზაზე და რომ ეს დაღმართში ჩამდგარი ეკონომიკა, თავის გამოსახულებას პოულობს აღნიშნულ გენერალურ შეტევაში მუშათა კლასის წინააღმდეგ. ამით აიხსნება ის სტიქიური სურვილი გაერთიანებისა, რომელსაც ჩვენ ვამჩნევთ მუშათა კლასში. სწორედ ამ მდგომარეობაზე არის დამოკიდებული ის ძირითადი ფაქტი მუშათა მოძრაობისა, რომ კერძო, ნაწილობრივი გაფიცვა ყოველთვის თავდება დამარცხებით. რომ ეხლა აღორძინების პროცესი იყოს, რომ კაპიტალისტი დაინტერესებული იყოს საწარმოო ჩარჩოების გაფართოებით, მაშინ თვითეული გაფიცვა თვალსაჩინო ზიანს მიაყენებდა კაპიტალისტს და ამ გარემოებისთვის მას ძალაუნებურად ანგარიში უნდა გაეწია. ეხლა კი საწარმოო გაფართოება არ არის, კაპიტალისტს არ შეუძლიან გააფართოოს წარმოება, და როდესაც ცალკე გაფიცვა დაიწყება, კაპიტალისტი არავითარ წინააღმდეგობას მუშებს არ უწევს: გაიფიცეთ, მე არავითარი ზარალი არა მაქვს თქვენი გაფიცვისაგანო. ასეთი მდგომარეობის წყალობით, როდესაც ცალკე, პატარა გაფიცვები საქმეს ვერ შველის, როდესაც ბრძოლის კითხვები აყენებს პროლეტარიატის წინაშე შეერთების საკითხს ფართო ძლიერ ორგანიზაციებში,—სწორედ ამ მდგომარეობის წყალობით წარმოიშვის საფუძველი მილიონების იდეის სტიქიურობისათვის, რომლის შესახებ ლაპარაკობდა ამხ. ზინოვიევი. მაშასადამე, რომ დავაკვირდეთ მიმდინარე მდგომარეობას საერთოდ ბურჟუაზიის ხაზითაც და პროლეტარიატის ხაზითაც, უნდა დავასკვნათ რომ ლოღიკურად მდგომარეობა გარკვეულია თუ წარმოვიდგენთ რომ ეკონომიკა დაქვეითების გზაზე სდგას, ხოლო იგი სრულიად გაუგებარი იქნება, თუ მოპირდაპირე თვალსაზრისი ვალიარეთ. ვეცდები მოვიყვანო რამდენიმე ფაქტიური ცნობა. ინგლისის წარმოება უკანასკნელ ხანებში ძალიან შეტყდა, ხოლო რადგან ინგლისი არის ერთი გადამწყვეტი ქვეყანა მრეწველობის მხრივ, სრულიად ბუნებრივად დაიბადა ისეთი შთაბეჭდილება, რომ მსოფლიო მეურნეობა თითქმის ჩადგა რაღაც ფაზისში, ამავე დროს საქმე შედარებით მეტად მარტივათ სდგას. ინგლისში მოხდა ქვანახშირის მაღაროების მუშათა გაფიცვა, როდესაც მძიმე ინდუსტრიის ძირითად დარგებში წარმოება თითქმის სრულიად მოისპო და უდრიდა წინანდელი ციფრების სულ მცირე ნაწილს.

როდესაც გაფიცვა გათავდა, საწარმოო ძალთა მრუდე ხაზი სწრაფად ავარდა ზევით. მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ ძირითადი ციფრების შედარება შეუძლებელია, ვინაიდან როცა ხალხი არაფერს აკეთებს, ცხადია ნაყოფიც არ არის. მაგრამ მაინც ჩნდება ილიუზია, რომ თითქოს წარმოება იზრდება. აი, ორი ნუსხა (უჩვენებს სურათს): ეს არის მრუდე ხაზი ერთგვარი აწევისა გაფიცვის დასრულების შემდეგ, ხოლო შეერთებულ შტატებში ეს ხაზი იმავე დონეზე და ოდნავ იწევს მოსავალის რეალიზაციის დროს, რაც ბუნებრივია სავსებით, ვინაიდან ამ დროს ყველგან იწყება უწყვეტული გამოცოცხლება. მაგრამ ნოემბრის ციფრები უკვე სულ სხვა სურათს იძლევა. ამხ. ტროცკი ამბობდა, რომ იგი უჯერის ამხ. ვარგას უფრო მეტად, ვიდრე ათს სხვას; მეც უჯერი მას, აი ამხ. ვარგამ შეადგინა ბიულეტენი ნოემბრისათვის. იგი ამბობს, რომ შეერთებულ შტატებში ნოემბრის განმავლობაში (ეს არის სულ უკანასკნელი ცნობები, რომელიც ჩვენს

ბი, შექმნილი პროვოკატორების მიერ.

ამ ჟამათ გლეხთა მასსები სავსებით თანაუგრძნობენ საბჭოთა ხელისუფლებას და კომუნისტურ პარტიას.

თესვის კამპანია.

ამ სფეროში პარტიამ დიდი სამუშაო შეასრულა, ყველგან მართავდა მიტინგებს, კრებებს და სხვა. ამ მუშაობის შედეგი თვალ და თვალ ჩანს: თესვამ ყველგან კარგათ ჩაიარა მოსახლეობას თესლი ზოგი თავისი ქონდა, ზოგიც ცენტრიდან მიიღო (1000 ფუთი, სამსულზე გადასაცვლელათ—1 ფ. ხორბალი 2 ფ. სიმინდში).

მაზრაში დაუთესავი დარჩა მთელი სივრცის 15 პროცენტი თესლის უქონლობის გამო. გაზაფხულზე ამ ნახნავებში დაითესება სიმინდი.

აგრონომიული დახმარება.

მოსახლეობის აგრონომიული დახმარება ჯერ-ჯერობით რეალურათ არაფრით არ გამოიხატება—უმთავრესათ ტეხნიკურ საშუალებათა უქონლობის და მუშაკთა კადრის უყოლობით. მაგრამ ამ საკითხს მაინც უპირველეს ყურადღებას ვაქცევთ. ამ ჟამათ ამ საკითხს ზედმიწევნით იხილავენ, ადგენენ ახლობელ ღონისძიებათა პროგრამის გეგმებს და ხარჯთაღრიცხვებს.

კოლექტიური მეურნეობა.

იყო ერთი ცდა უნდა შეექმნათ ერთი კოლექტიური მეურნეობა. ჩვენს რაიონში ჩვენ თითონ დავამუშავეთ და დავთესეთ 100 ქცევამდე მიწა—45 ქცევა ერთ ადგილას და 60 მეორე ადგილას. ეგაა ზაფხულის გვალვამ და ადრეულმა შემოდგომის წვიმებმა ცუდათ იმოქმედეს ამ ნათესის მოსავალზე.

კოოპერაცია.

მუშათა კოოპერატივი არსებობს სამაზრო ცენტრში, მაგრამ მისი მოქმედება სუსტათ მიმდინარეობს, რადგან არა აქვს სატრიალებელი თანხა, საქონელი ცოტა აქვს და ამის გამო შეუძლებელი შეიქნა მაზრაში საქონლის გადაცვლის ოპერაციის მოწყობა.

რაც შეეხება სამოქალაქო კოოპერაციას, იქ ისხდნენ მენშევიკები. მაგრამ კოოპერატიულ ორგანოების კრებებისა და სარევიზიო კომისიების არჩევის შემდეგ,—გამგეობებში უმეტესობა კომუნისტები გავიდნენ.

გლეხობის განწყობილება.

ღატაკი გლეხობა თანაგრძნობითაა განწყობილი საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტურ პარტიისადმი. ყაჩაღობა არაა. სისხლის სამართლის დარღვევის ცალკე შემთხვევებსაც კი დიდი ხანია არა ქონია ადგილი.

მენშევიკებს მუშაობაც არაფრით იჩენს თავს—ნიადაგი მთლათ და სამუდამოთ გამოეცალათ მათ ფეხქვეშ.

საბჭოთა არჩევნები ჯერ არ მოგვიხდენია. მაგრამ წინასწარი მუშაობა სულ გავათავეთ. არჩევნებს შევუდგებით, როცა პარტიულ ყრილობიდან დავბრუნდებით ადგილებზე.

ლეჩხუმის მაზრა.

სამაზრო რევკომის თავმჯდომარემ ამხ. ქაჯაიამ თავის მოკლე საუბარში მაზრის მდგომარეობის შესახებ გვიამბო შემდეგი:

პარტიული მუშაობა საერთოდ დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ძლიერ საგრძნობია პასუხისმგებელ მუშაკთა ნაკლებობა. მაზრაში არის 4 პარტიული რაიკომი, წევრთა რიცხვი არის—830 უმეტეს ნაწილად გლეხობა.

ქალებში მუშაობა სუსტად სწარმოებს ისევ გამოცდილ მუშაკების უყოლობის გამო, თუმცა სამაზრო პარტკომთან არსებობს ქალთა განყოფილება.

კომუნ. ახალგაზრდობის კავშირი საკმაოთ კარგათ მუშაობს. პარტიული კომიტეტები ხელმძღვანელობას უწევენ ახალგაზრდობის ორგანიზაციათა მუშაობას. არსებობს საურთიერთო წარმომადგენლობა და საერთოდ კავშირი.

პარტიულმა ორგანიზაციებმაც და კომ. ახალგ. კავშირმაც არა ერთხელ გამართეს შაბათობა და კვირაობა—ქალაქის კეთილმდგომარეობაში მოსაყვანათ, გზების და ხიდების შესაკეთებლათ და თვით სარწყავ არხების გასაჭრელათ.

მთლათ სუსტი მუშაობა სწარმოებდა კულტურულ-განმანათლებელ სფეროში. მაზრაში საზოგადოთ მეტათ ცოტა ინტელიგენტური ძალებია. პარტიულ ორგანიზაციაში სულ იქნება არა უმეტეს 23—24 ინტელიგენტისა. სახალხო განათლების განყოფილება თითქმის სრულობით არ არსებობს. მეცადინეობა სკოლებში სწარმოებს, მაგრამ საქმის დაყენებისა და მეცადინეობის ნაყოფიერების მხრივ—ყველა ეს მეტათ არ დამაკმაყოფილებლათ უნდა ჩაითვალოს.

კარგ გზების და წასვლა მოსვლის საშუალებათა უქონლობა აბრკოლებს ერთი რაიონიდან მეორეში გამოცდილ მუშაკების გადაყვანას.

აგრარული რეფორმაც სუსტათ სწარმოებს. საადგილმამულო განყოფილების სათავეში არა დგას შესაფერი პასუხისმგებელი მუშაკი. მოსახლეობისთვის აგრონომიული დახმარება მოწყობილი არაა.

თესვის კამპანიამ მაინც დამაკმაყოფილებლათ ჩაიარა, ზოგ ადგილას კარგათაც კი. მოსახლეობა თავის თესლით წავიდა იოლათ, ჯერ ცენტრიდან თესლი არ მიუღია. მაზრაში უმთავრესათ ხორბალს სთესენ, ძლიერაა განვითარებული მევენახეობა.

სასურსათო გადასახადი? ეს საქმეც სუსტათ სწარმოებს, რადგან რაიონების უმეტესობაში მოუსავლობა იყო. მაგრამ გლეხობა მაინც თანაგრძნობით ეკიდება ამ გადასახადს.

მუშათა კოოპერაცია არ არსებობს; საზოგადოთ მაზრაში კოოპერაცია სუსტობს. ამას წინათ ცენტრიდან ინსტრუქტორი მოვიდა კოოპერატივის მოსაწყობათ, მაგრამ აქედან ჯერ არა გამოვიდა-რა.

ძალიან ცუდათაა დაყენებული მოსახლეობის სამკურნალო დახმარებაც. მთელ მაზრისთვის ყავთ მხოლოდ ერთი ექიმი, რომელსაც, ცხადია, არ შეუძლიან აუვიდეს მთელ საქმეს. მაზრაში კიდევ იყო 3 ექიმი, მაგრამ ისინი წავიდნენ. ამ ჟამათ იქ ვრცელდება სახადის მოარული. მის წინააღმდეგ ბრძოლის ზომებს ღებულობენ, მაგრამ სამკურნალო პერსონალის ნაკლებობის გამო ძნელია რისამე გაკეთება. მაზრის ადმინისტრატიულ ცენტრში—ცაგერში—არსებობს საავათმყოფო. წამლებიც ამას წინათ მიიღეს ცენტრიდან.

საბჭოთა დაწესებულებანი განიცდიან დიდ ფინანსიურ გაჭირვებას. ფულის მისაღებათ ხშირად საჭიროდება კაცების გაგზავნა ცენტრში, რაც აცდენს საქმიდან მუშაკებს და საზოგადოთ აფერხებს აღმშენებლობას.

გლეხობა ძლიერ კარგათაა განწყობილი საბჭოთა ხელისუფლებას და კომუნისტურ პარტიას. იგი არა თუ მარტო თანაუგრძნობს, არამედ აქტიურათაც ეხმარება. ამას მოწმობს პირველათ იმ კამპანიების წარჩინება, რომლებიც პარტიულმა ორგანიზაციამ ჩაატარა—ფედერაციის სასარგებლოთ და სხვა, და აგრეთვე ის გარემოება, რომ მაზრაში არ არსებობს არავითარი ყაჩაღობა. აქ სრული სიწყნარეა.

გლეხობის განწყობილების მაჩვენებლათ გამოდგება საბჭოთა არჩევნებიც. სათემო საბჭოების არჩევნები უკვე გათავდა კომუნისტურ პარტიის გამარჯვებით. საბჭოთა სამაზრო ყრილობა მოწვეულ იქნება პარტიულ ყრილობის დასრულების შემდეგ, როდესაც ჩვენ დავბრუნდებით ადგილებზე.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოციალ. რესპუბლიკების რკინის გზები

იწვევენ მსურველთ მიიღონ თავიანთ თავზე 4000 კუბ. საჟ. შეშის დამზადება, მაგარი და რბილი ხარისხისა სხვა და სხვა სიგრძისა, სისქით 2 ვერშოკიდან არა უმეტეს 5 ვერშოკისა. შეშის დამზადება შეიძლება აღებულ იქმნას რამდენიმე პირთაგან პატარ-პატარა პარტიებით.

შეშის ჩაბარება უნდა მოხდეს რკინის გზების ლიანდაგთან გზათა სამმართველო არ იღებს თავის თავზე შუამდგომლობას შეშის მოსაჭრელ ადგილის მიზომაზე. დამზადების მსურველთ უნდა შეიტანონ წერილობითი განცხადება დამზადების პირობების აღნუსხვით, ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამასალო განყოფილების სახელზე 1922 წლის 15 თებერვლამდე სადაც შეიძლება მიღება ყოველგვარ ცნობებისა შეშის შესახებ ყოველ დღე, გარდა უქმას, დილის 9 საათიდან დღის 2 საათამდე.

საბჭოთა

— ქ. თბილისის მე 2 რაიონის სახალხო მოსამართლე იწვევს მარიამ სპირიდონის ასულ ჩიკვინიძეს სახალხო სასამართლოში, რომელიც იმყოფება სასამართლოს ქ. № 32 სასამართლოს დაწესებულებათა შენობაში მის ქმართან განქორწინების საქმის გამო და აფრთხილებს მას, რომ თუ ის ორი თვის განმავლობაში დღიდან ამის გამოცხადებისა არ გამოცხადდება სასამართლოში, საქმე გაირჩევა მის დაუსწრებლად და გამოტანილი იქნება დაუსწრებელი დადგენილება.

ს. ხალხო მოსამართლე მიხ. ჩხეიძე

ხელში) არის ნელი გაუმჯობესება იმ დროს, როდესაც ინგლისში უკანასკნელი თვის განმავლობაში დაიწყო უფრო გაუარესება ვიდრე გაუკეთესება. მეორეს მხრით არის დაშლის სიმპტომები ცენტრში; ფიქრობენ, რომ მარკას კურსმა უკანასკნელ ხანებში აიწია, მაგრამ თუ დააკვირდით დაინახავთ ნახტომებს, რომელიც ამტკიცებს სავალუტო ურთიერთობის სრულ მოშლას, რასაც აღნიშნავს ამხ. ვარგა, არა მარტო გერმანიის მიმართ, არამედ ყველა მნიშვნელოვანი სახელმწიფოს მიმართ. ეხლა ვნახოთ უმუშევართა რაოდენობა: ოქტომბერში ინგლისში იყო თითქმის 1,611, ხოლო ნოემბერში 1,830 ათასი უმუშევარი. რიცხვის გადიდება სავსებით სწორია; მე შემეძლო მომეყვანა კიდევ მრავალი ფაქტი, რომელიც დაახლოებით ამასვე ადასტურებს.

ვარგა სწერს ინგლისის შესახებ: „ფრიად დამახასიათებელია, რომ ფასების აწევა, რომელიც ჩვენ აღვნიშნეთ უკანასკნელ მოხსენებაში, დღეს შეიცვალა თავბრუდამხვევი დაცემით“. საერთოდ რომ ვსთქვათ ეხლა ხდება შემდეგი: ბანკის პროცენტი ეცემა. თითქმის ყველა სხვადასხვა ქვეყნიდან არის ერთი ცნობა: შეტანილი ფული, კაპიტალი, რომელიც თავისუფლდება, არ არის, და ამ ნიადაგზე წარმოების გაფართოება არ ხდება. ვარგა, რომელიც შორს სდგას რუსეთის საკითხისაგან, აცხადებს, რომ ყველა ეს მოვლენა ნიშანია დაშლისა, რომ ინგლისისა, შეერთებული შტატებისა და იაპონიის საწარმოო ძალებისათვის არ არსებობს გასასაღებელი ბაზარი. აი ძირითადი ფაქტი. თუ ამ ფაქტიდან გადავალთ იმაზე, რასაც აქ ამბობდა ამხ. სოკოლნიკოვი, დავინახავთ, რომ იგი სავსებით მართალია. სწორედ საწარმოო ძალთა ამ შემცირებით, წინსვლის შეუძლებლობით, და მრავალი პერტურბაციით, რომელიც ამ ნიადაგზე წარმოიშვის, უნდა აიხსნას ის, რომ ჩვენ, ყოველი ეჭვის გარეშე, საჭირო ვართ კაპიტალისტებისათვის. რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა დავეთანხმოთ ამხ. ტროცკის, რომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ჩვენს წიაღს ამის, ვინაიდან მრავალი შემთხვევა შეიძლება მოხდეს, შეიძლება სხვა ამბები დატრიალდეს. მაგრამ აქ არ უნდა მოვახდინოთ აწინდელი მდგომარეობის ხანქარევი, პესიმისტური შეფასება.

შემდეგ მე მინდოდა მეთქვა ორიოდე სიტყვა სხვა სფეროდან. ერთი ამხანაგისაგან მივიღეთ შემდეგი ბარათი: „რა უნდა ვსთქვათ ჩვენი მენშევიკების შესახებ, და მთლიანი ფრონტის ტაქტიკის შესახებ ჩვენი მენშევიკების აზრით“. (ტროცკი ადგილიდან: ეს კომინტერნის რეზოლუციაა და არა მანიფესტი ამნისტიის შესახებ) საქმე იმაშია, რომ დასავლეთ ევროპაში ჩვენ გვინდა გავანთავისუფლოთ მუშათა მასები მენშევიკების გავლენისაგან კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. აქ, შიგნით ძლიან შეუერთდეთ მენშევიკებს საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ. ამ პატარა განსხვავებისაგან თავის თავად გამომდინარეობს, რომ ყველა შედეგი ჩვენში უნდა იქნეს მენშევიკებისათვის რამდენიმეთ სხვანაირი ვიდრე ევროპაში.

შემდეგ მე მინდა კიდევ მოვახსენოთ, რომ საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს ორი შესაძლოება, რომელიც წარმოიშვის, როცა ჩვენ სხვადასხვა წინადადებას მივსცემთ შეიდემანსა და სხვა ბატონებს: თუ მათ უარი სთქვეს მუშათა კლასის ელემენტარული უფლების დასაცავად გამოსვლაზე და სხვ., ჩვენ უსასტიკესად გამოვამჟღავნებთ მათ საქციელს, ხოლო თუ დასთანხმდნენ თავიანთი ორგანიზაციებით მიიღონ მონაწილეობა მუშათა კლასის გამოსვლებში, რომელთაც ასე თუ ისე ბრძოლის ხასიათი ექნება, მაშინ ჩვენ, როგორც უფრო ენერგიულმა ყმაწვილებმა, ამ ბრძოლის პროცესში, უნდა დავიჭიროთ ბრძოლის მთავარი ძირითადი პუნქტები და ამ ბრძოლის პროცესში ვატაროთ მასები ჩვენი გავლენის ქვეშ. ეს არის მთელი ტაქტიკა. მე ვფიქრობ, რომ აქ ლაპარაკიც არ შეიძლება დათმობაზე, რომლის შესახებ ლაპარაკობდა ამხ. სტუკოვი. საქმე ეხება არა დათმობას, არამედ იმას, რომ კრიზისის ნიადაგზე, თანდათანობით გაძლიერებულ ბრძოლის ნიადაგზე გამოვგლიჯოთ სოც.-დემოკრატიას გავლენის მისი უკანასკნელი რესურსები, რომ ამ გზით, გადმოვისროლოთ ბრძოლაში მუშათა კლასის უდიდესი რაზმები.

მე-7 სხდომა დეკემბრის 22. გრძელდება კამათი კომინტერნის შესახებ ამხ. ზინოვიევის მოხსენების გარშემო.

სიტყვა ეძლევა ამხ. რადეკს.

ამხ. რადეკი.

დისკუსია, რომელიც აქ გაიმართა ამხ. ტროცკისა, სოკოლნიკოვისა და ბუხარინის შორის, ჩემის აზრით, პარტიულ კონფერენციაზე არ მოგვცემს იმას, რასაც კონფერენცია მოელოდა. მე ვეცდები არ შევეხო ციფრებს, არამედ დავსვა საკითხი—რას ნიშნავს ეს დისკუსია, როდესაც კომინტერნის ყრილობაზე ამხ. ტროცკი გამოვიდა დებულებით, რომ არ შეიძლება დამყარება კაპიტალიზმის ეკონომიურ ძალთა განუწყვეტელ დაცემაზე, ან გახრილ ხაზზე, რომელიც ძირს მიიმართება,—ეს პასუხს აძლევდა არა მარტო თეორეტიული სიფრთხილის აუცილებლობას.

იყო გატაცება ამხანაგთა ჯგუფისა, რომელსაც ფრიად მარტივად ჰქონდა წარმოდგენილი კაპიტალიზმის განვითარების პროცესი, და ამიტომ აღიარებდა მარტივ ტაქტიკას, თავის მტვრევით წინსვლის ტაქტიკას. სრულიად სამართლიანად არის წამოყენებული მარქსისტული შეხედულება, რომ დაშლის პროცესი არ არის ასე უბრალო და რომ შესაძლებელია ეკონომიური გაუმჯობესება. ამხ. ტროცკი აღნიშნავდა ინგლისის მდგომარეობას, მრუდე ხაზს, რომელიც ზევით იწევს, რომლის წყალობით მუშათა კლასს შეუძლიან კვლავ იგრძნოს ნიადაგი ფეხქვეშ და ახალი ძალებით გადავიდეს ბრძოლაში. ეს იყო მაშინ პოლიტიკური მიზანი ამხ. ტროცკისა, რომელსაც იმ მომენტში ჩვენ ყველანი ვეთანხმებოდით. ეხლა რა უქნეს ტროცკის ამ თვალსაზრისს ნახევრად ცენტრისტებმა, რომელნიც კომინტერნში ან კომინტერნის გარშემო იყრიან თავს? მათ დაიწყეს მტკიცება, რომ განვითარება საერთოდ მიდის კაპიტალისტურ ძალთა გამოცოცხლებისაკენ. ხოლო აქედან დაასკვნეს, რომ რევოლუცია შესდგა შემცირების გზაზე. უნდა ვსთქვათ,—რომ დღეს ამხ. ტროცკიმ მოგვცეს წინააღმდეგობათა ასეთი დიაგნოზი, რომ ეს წინააღმდეგობანი მცირდება, რომ ხდება კაპიტალიზმის კონსოლიდაცია,—რომ ტროცკის ეს ეთქვა,—თავის თავად გასაგებია, უნდა გამოგვეტანა ისეთივე დასკვნები, რომლის შესახებ ლაპარაკობდა ამხ. სოკოლნიკოვი, უნდა გვეთქვა, რომ რადგან ხდება კაპიტალიზმის კონსოლიდაცია, ევროპაში რევოლუცია აღარ იქნება უახლოეს ისტორიულ ხანაში. მაგრამ მე არ ვიცი, რა საბუთით მიაწერა ასეთი დასკვნები ამხ. სოკოლნიკოვმა ამხ. ტროცკის; არაფერი ამის მსგავსი ტროცკის არ უთქვამს, და სოკოლნიკოვის ეს პოლემიკა მხოლოდ ასაზრდოებს ნახევრად-ცენტრისტულ ელემენტებს, რომელნიც დაიწყებენ მტკიცებას, რომ ჩვენს შორის ადგილი აქვს პრინციპიალურ უთანხმოებას, მაშინ, როდესაც ეს ჩვენში არ არის. ტროცკიმ აღნიშნა ეკონომიური გაუმჯობესების სიმპტომები, ხოლო შემდეგ გამოვიდა ბუხარინი და განაცხადა, რომ ინგლისში მიტომ გამოკეთდა მდგომარეობა, რომ ქვანახშირის მაღაროების მუშათა გაფიცვა დასრულდა, და ამერიკაში კიდევ იმიტომ, რომ შემოდგომა მოსავლის შემდეგ დადგა. მდგომარეობის გაუმჯობესების ყოველთვის აქვს მიზეზები,—ეს აშკარაა.

მაგრამ ფაქტი ხელთ გვაქვს: ამერიკაში არის უეჭველი ეკონომიური გაუმჯობესება, არის იგი ინგლისის ეკონომიკის ზოგიერთ დარგშიც. უეჭველია, რომ ხელმძღვანელ პოლიტიკოსებისათვის, მაგ. ლოიდ ჯორჯისათვის ეკონომიური პესიმიზმის ხანამ გაიარა; ლოიდ-ჯორჯი უკვე საჭიროდ აცხადებს, რომ დაიწყო მდგომარეობის გაუკეთესება, და მართალია ლოიდ ჯორჯი ალბათ არ კითხულობს ვარგას მოხსენებებს ინგლისის ვაჭრების სულიერი განწყობილების შესახებ, მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, მან ცოტა რამ მაინც იცის.

გაუმჯობესების უარყოფა ზოგიერთ დარგებში შეუძლებელია.

საეჭვო არ არის, რომ თუ ეხლა მოკავშირენი ვერ შეთანხმდნენ გერმანიის საკითხში, თუ მათ ერთმანეთს არ დაუთმეს შეტაკება ფაქტად იქცევა ჩვენ არ ვიცით რა ფორმებში ჩაიოსხმება ეს ამბები უახლოეს თვეებში, მაგრამ ბრძოლის შესაძლებლობის უარყოფა მომავალ გაზაფხულისათვის სასაცილო იქნებოდა. აქეთკენ მივყავართ ზოგიერთ ტენდენციებს და ვაშინგტონის კონფერენცია ამის მაჩვენებელია. ინგლისის ცდა გერმანიის საკითხში შეთანხმების მიღწევისათვის, იმას საბუთია, რომ მოკავშირენი განსაცდელში ჩავარდნენ და რომ გრძელდება ეკონომიური გაკოტრების გაღრმავება. ისინი მრავალ ზომებს გამოსძებნიან ეკონომიური მდგომარეობის შემსუბუქებისათვის. ამის უარყოფა და იმის მტკიცება,—როგორც სოკოლნიკოვი ფიქრობს,—რომ მოკავშირენი ვერ შეთანხმდებიან, რომ ისინი არ დაუთმობენ გერმანიას,—ამის მტკიცება სასაცილოა. ეს ხალხი გრძნობს ომის უდიდეს საფრთხეს, ვაშინგტონში თავი იჩინა ღრმა წინააღმდეგობამ, მაგრამ განა მოკავშირენი ამას ვერ ხედავენ? დიახ, ხედავენ, და ითვალისწინებენ რა უმაგალითო საფრთხეს, რომელიც მათ ემუქრება, ცდილობენ შეთანხმებას.

ამ მოვლენების უარყოფა, ან, როგორც ტროცკი ამბობს, ისეთი დასკვნის გაკეთება, რომ თითქოს რევოლუცია აღარ მოხდება—იმას ნიშნავს, რომ ანგარიში არ გაუწიოთ არსებულ ფაქტებს, ან ისეთ ფაქტებს, რომელნიც შეიძლება ხვალ გვექნეს.

ტროცკის შეხედულებასა და იმ შეხედულებას შორის, რომელიც საფუძვლად დაედო ჩვენს ტაქტიკას, არ არის არავითარი პრინციპიალური უთანხმოება.

უთანხმოება შეიძლება იყოს ფაქტების შეფასებაში. როდესაც სოკოლნიკოვი ჩასციებია ტროცკის და ამბობს: „თუ ისინი შეთანხმდნენ გადაგვყლაპავენ, შეგვჭამენ“, როდესაც ამას ამბობს, რაში მიუძღვის აქ ბრალი ამხ. ტროცკის? ტროცკიმ აღნიშნა რამდენიმე ფაქტი, თვითეული მათგანი ნამდვილად არსებობს, მაგრამ რა მიმართულებით განვითარდება ეს ფაქტები—არავინ იცის. დასაჯერებელი არ არის, რომ ამ ფაქტების წყალობით ევროპა დაუბრუნდეს დღევანდელ მდგომარეობას. ჩვენ ავიღეთ მსოფლიო რევოლუციის ხაზი და მივსდევთ მას შეურყევლად. მაგრამ არც ერთ მარქსისტს არ შეუძლიან იმის თქმა, რომ მსოფლიო რევოლუციის გამარჯვება ჯიბეში გვქონდეს. არ არსებობს გამოუვალი მდგომარეობა. თუ ევროპის მუშები უახლოეს წლების განმავლობაში არ გადავიდნენ იერიშზე კაპიტალიზმის წინააღმდეგ, ეს უკანასკნელი გამონახავს საშვალებას მდგომარეობიდან გამოსვლისათვის. სამხრეთ ამერიკისა, ჩინეთისა და რუსეთის განვითარება არის საშვალება კაპიტალიზმის აღდგენისათვის. რა თქმა უნდა, ძნელი დასაჯერებელია, რომ მუშათა კლასმა მოიცადოს ვიდრე მას ყელს გამოჭრიდნენ და ვიდრე მის ძვლებზე ააშენებდნენ კაპიტალიზმის ბედნიერებას.

ამ პოლემიკამ დაგვაშორა ჩვენ აქტუალურ საკითხს, რომელიც ამხ. ზინოვიევმა წამოაყენა. ზინოვიევის დებულებებს ჩვენ ყველანი ვიზიარებთ. მე მინდა ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ. რატომ გააოცა ჩვენი ამხანაგები კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის რუსი—წევრების ამ პლატფორმამ, ამ წინადადებამ? თუ აქ ამხანაგები არ გამოდიან, იმიტომ რომ არ იციან კონკრეტი ფაქტები და არ სურთ გამოსვლა ასეთი ფაქტების გარეშე. დისკუსიამ, რომელიც სწარმოებდა მოსკოვის სადისკუსიო კლუბში ნათლად აღნიშნა ეს გაოცება ამხანაგებისა, ვინაიდან იმის დამტკიცება, რომ მდგომარეობა არ შეცვლილა მეტად ძნელია,—ყველამ იცის, რომ გუშინ ჩვენ შეიდემანის დახრჩობას ვაპირებდით, ხოლო დღეს ვქადაგებთ მასთან საერთო ფრონტის შექმნას. შეუცვლელი დარჩა ჩვენი სურვილი, ჩვენი გრძნობა. როცა ზინოვიევი ამბობს, რომ გუშინ მას სურდა შეიდემანის ჩამოხრჩობა, ხოლო დღეს მას ხელს აძლევს, ეს ნიშნავს იმას, რომ ზინოვიევმა ხელი გაუყარა შეიდემანს, რათა მიიყვანოს იგი სახრჩობელამდე. მაგრამ მაინც „ახალ ეკონომიურ პოლიტიკას“ შეიდემანის მიმართ აქვს ღრმა ფესვები; თუ ეს ფესვები არ გავაშუქეთ, თუ ყველაფერი გავსინჯეთ როგორც გარდამავალი მანევრი, მაშინ შეუძლებელი იქნება საკუთარი მოქმედების ხაზის გამორკვევა და მისი გატარება ცხოვრებაში. ზინოვიევი მართალს ამბობს: სასაცილოა როცა გვისაყვედურებენ, რომ ჩვენ მუდამ ვსცვლით პოლიტიკას, და სახალხო კომისართა საბჭო ისევე საჭიროა იქ, ევროპაში, როგორც აქ, მოსკოვში. ახალი ფესვები ჩვენს ახალ პოლიტიკაში უსათუოდ არის. ფესვი არის ის ფაქტი, რომ მას შემდეგ, რაც ევროპაში სადემობილიზაციო კრიზისმა განვლო, და მთელი მსოფლიო დადგა ძალების ახალი დარაზმვის წინაშე მუშათა ახალი ბრძოლისათვის, ჩვენ იძულებული შევიქენით წავსულიყავით იმ დათმობაზე, რომელიც არა მარტო აუცილებელია რუსეთში, არამედ საჭიროა იმიტომ, რომ ჩვენ ვერ ვღებულობთ საქონელს დასავლეთ ევროპიდან. რა თქმა უნდა, ჩვენ არაფერს არ მივცემდით ევროპას კაპიტალისტებს, რომ კონცესიონერებად გვყავდეს ევროპას მუშები; მაგრამ კომინტერნის ახალ პოლიტიკას განა იგივე ფესვები არა აქვს? რევოლუცია ევროპაში დღითი-დღე ნელის ნაბიჯით ვითარდება. არ შეიძლება მუშათა მასების მობილიზაცია „უკანასკნელი ბრძოლის“ ლოზუნგის საფუძველზე, „პროლეტარიატის დიქტატურისა“ და „საბჭოთა ხელისუფლების“ ლოზუნგის საფუძველზე,—მობილიზაცია შესაძლებელია მორიგი ლოზუნგების საშვალებით. როცა ამას ვშვრებით, როცა მორიგი ლოზუნგებით ვმოქმედებთ, საჭიროა აუხსნათ მუშათა მასას—რაში მდგომარეობს განსხვავება. განსხვავება მდგომარეობს იმაში რომ, ამ მორიგი ლოზუნგებისათვის ჩვენ ვიბრძოლებთ, ჩვენ გავაფართოებთ და გავაღრმავებთ მათ, ხოლო შეიდემანი არ იბრძოლებს.

ამიტომ ჩვენ ვაძლევთ წინადადებას შეიდემანს და ვეუბნებით მას: შენ არ გსურს ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურისათვის, მაგრამ გინდა იბრძოლო მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის,—კეთილი, წავიდეთ ერთად.

თუ შეიდემანი დასთანხმდა, მაშინ მუშათა მასების შეერთება ბრძოლაში შექმნის თავის ლოღიკას, როცა თვით მასები წავლენ წინ, ხოლო თუ იგი უარს იტყვის, მაშინ ჩვენ გამოვალთ ბრალდებით მის წინააღმდეგ არა ამ მომენტისათვის შორეულ საკითხში—პროლეტარიატის დიქტატურის საკითხში,—არამედ უახლოეს საკითხში—პურისა, ბინისა და სხ. საკითხებში. ამხანაგებს შეუძლიანთ სთქვან: ეს არის ახალი ეტაპი. ტროცკიმ თავის წიგნაკს სწორედ „ახალი ეტაპი“ უწოდა.

როდესაც ლენინი სწერდა თავის ბროშურას, „მემარცხენეობის საყმაწვილო“-ს, ჩვენ კიდევ არ გვყავდა პარტიები, რომელთაც შესძლებოდათ მანევრების მოწყობა, ხოლო ეხლა ასეთი პარტიები არის, და დრო ისეთია, რომ ეს მანევრები უნდა დავიწყოთ. ეს არის მოწინააღმდეგის თავის მოვლა. ამიტომ მე სავსებით ვიზიარებ იმას, რასაც ამბობდა ამხ. ზინოვიევი,—რომ ჩვენს იდეოლოგიაში, ჩვენს მიზნებში არ არის არავითარი დაახლოება მეორე და ორნახევარ ინტერნაციონალთან. შეიძლება საერთო ბრძოლის ნიადაგზე, ის ნაწილები, რომელნიც გამედავენ ჩვენთან წამოსვლას მარცხნივ გადიხარონ. შეიძლება, მტრებს ჩამოვაშოროთ ერთი ნაწილი, მაგრამ ერთი, საერთო ინტერნაციონალის შექმნას ჩვენ არ ვფიქრობთ, ჩვენ ვაღიარებთ მხოლოდ მოქმედების უწყვეტელი ბლოკის საჭიროებას, იმ ღრმა რწმენით, რომ ისტორია ჩვენს მხარეზეა, და რომ ამ მანევრიდან მოვიგებთ ჩვენ, და არა ისინი. მე გთხოვთ მოიგონოთ,—როდის იყო გადადგმული პირველი ნაბიჯი ამ პოლიტიკის მიმართულებით. ეს იყო ღია ბარათი გერმანიის მუშების მიმართ. ჩვენ მაშინ მავმართეთ შეიდემანელებსა და დამოუკიდებელთ მეტად თავაზიანი წერილით. ამის საპასუხოთ, სამი კვირის განმავლობაში, შეიდემანისა და დამოუკიდებელთა პრესაში იყო საშინელი ღრიალი, ვინაიდან მათ გაიგეს, რომ ჩვენ დავადექით ისეთ გზას, რომლითაც მათი მუშები გამოემართება ჩვენსკენ. იგივეა ეხლაც. თუ პარტიაში იყო და არის უხერხულობის გრძნობა იგი გაჰქრება პირველი ნაბიჯისთანავე ამ გზაზე.

პერსპექტივა რჩება იგივე, რაც მე-3 კონგრესმა გამოსახა. ის, რასაც დღეს ჩვენ ვაძლევთ, ნათქვამია, ღია ბარათის ტაქტიკის გაზიარებით მე 3 კონგრესის თეზისებში. ახალი არის მხოლოდ ის, რომ ეს ტაქტიკა ღია ბარათისა ჩვენ უნდა გავაერთაშორისოთ, რადგან მრავალ ახალ ქვეყანაში ეს საკითხები უკვე მომწიფებულია. ამხ. ზინოვიევი ლაპარაკობდა იტალიის შესახებ, მაგრამ შვეციაშიც ისეთი მდგომარეობაა, რომ ბრანტინგს, როგორც მთავრობას არ შეუძლიან არსებობა, თუ მას მხარი არ დაუჭირა 70 000 კომუნისტმა. რომ ჩვენ ბრანტინგი დავსცეთ, მუშები იტყვიან, რომ 70.000 კომუნისტის სურვილით მუშათა მთავრობა დაეცა და ხელისუფლებას ბურჟუაზია დაეპატრონა.

ახალი ის არის, რომ საერთო ფრონტის საერთო საგიტაციო პოლიტიკა ზოგიერთ მდგომარეობაში მაგ. გერმანიის მდგომარეობაში, გვაყენებს ჩვენ ერთი საკითხის წინაშე: „შევალთ ჩვენ მთავრობაში შეიდემანთან ერთად, თუ არ შევალთ?“ ასეთი მდგომარეობა პრინციპიულად არ უნდა ჩაითვალოს შეუძლებლად. ჩვენ რუსეთში პრინციპიულად ვაღიარებდით წვრილ ბურჟუაზიასთან კოალიციის აუცილებლობას. შეიდემანის პარტია არის წვრილ ბურჟუაზიული პარტია; უარესის თქმა ამ პარტიაზე აღარ შეიძლება, და მაშასადამე მასთან კოალიციის პრინციპიული უარყოფაც შეუძლებელია. გადავსდგამთ ჩვენ ამ ნაბიჯს? ეს დამოკიდებულია კონკრეტ პირობებზე, რომელშიაც ჩვენ ჩავაყენებთ შეიდემანის პარტია და რომელსაც იგი ან დაეთანხმება, ან არ დაეთანხმება. მაგრამ უეჭველია,—რომ თვალები დავიხუჭოთ ასეთ შესაძლებლობათა წინაშე,—ამით ვავნებდით ძლიერ ინტერნაციონალის საქმეს. პოლიტიკური ბრძოლის პროცესში ჩვენ უნდა ვასწავლოთ ჩვენს პარტიებს მასებთან დაკავშირება და მასიურ ძალად ქცევის საშუალებანი. ეს იმით არ გაკეთდება, რომ პარტიები ვიყოლიოთ მხოლოდ პროპაგანდისტების როლში, რომელნიც იქადაგებდნენ, რომ რაკი კაპიტალიზმს სიკვდილი უწერია, მდგომარეობა თანდათან უნდა გაუარესდეს და ბოლოს დადგება მომენტი, როდესაც ჩვენ ყოველგვარი მანევრების გარეშე, წარსდგებით რევოლუციის წინაშე. ეს არის კ. რ. პ.-ის პოზიცია, რომლის წყალობით ეს პარტია ჩამოვიდა 5 000 კაცამდე. ასე ჩვენ ვერ ვიმუშავებთ. ამიტომ, ხაზი კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტისა, არის ერთად ერთი შესაძლებელი ხაზი.

მე მინდა კიდევ აღვნიშნო ამ ხაზის კავშირი იმ მსოფლიო პერსპექტივებთან, რომელიც ჩვენს წინაშე სდგას. მე ვფიქრობ მეტად კარგი იქნება, თუ ამხანაგები დაბრუნდებიან შინ, არა გაზ. „პრავდის“ დღევანდელი მეთაურის გავლენით, და არა ამხ. სოკოლნიკოვის სიტყვის გავლენით, რომელმაც განაცხადა, რომ თითქოს ლოიდ-ჯორჯს ჩვენ ისე ვესაჭიროებით, რომ ამ გაზაფხულზე ბევრ რასმე მივაღწევთ. თუ დღეს ლოიდ-ჯორჯი მოითხოვს ბრიანისაგან რუსეთის ცნობას, ჯერ ჯერობით ჩვენ მხოლოდ ეს ვიცით, რომ ლოიდ ჯორჯი ამას მოითხოვს. მაგრამ მოითხოვს უკვე თუ არა—ეს ჩვენ არ ვიცით. შეიძლება ეს მანევრი ჩვენს წინააღმდეგ მოტრიალდეს.

უეჭველია რომ საფრანგეთში აწიფდება შეცვლა ჩვენდამი დამოკიდებულებისა და ლოიდ ჯორჯი, შესაძლოა, სცდილობს გზა გადუჭრას ბრიანს, რათა საფრანგეთი ჩააყენოს ისეთ მდგომარეობაში, რომ იგი მივიდეს ინგლისის ფარვატერთან და შორს გასწიოს ეს ისტორია. რომ ეს მართალიც იყოს, რომ ჩვენ წავიდეთ კიდევ კონფერენციაზე, განა ლოიდ ჯორჯი მიგვიღებს ჩვენ ისე კარგად, რომ სთქვას: ბატონებო, ურუსეთოდ შეუძლებელია სახალხო მეურნეობის აღდგენა, ამიტომ ჩვენ ვსცნობთ რუსეთს და ვაძლევთ მას მილიარდებს, რამდენიც სურთ? რა თქმა უნდა, იგი მიგვიღებს ჩვენ აი, როგორი სიტყვებით: „თქვენ ამდენი და ამდენი პური გაკლიათ, თქვენ ამდენი და ამდენი გჭირდებათ, ამიტომ კეთილ ინებეთ, შეისყიდოთ იგი ასეთი და ასეთი დათმობით, რათა ვსცნობთ რა თქვენს ხელისუფლებას, ვსცნოთ ჩვენი თავიც“. ეჭვი არ არის, როდესაც ამბობენ, რომ ჩვენი აღიარება იქნება უდიდესი ისტორიული ფაქტი, ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ეს იქნება ყველაზე მეტად უმწვავესი ხანა ჩვენთვის. ეს იქნება ის ხანა, რომელიც შობს ახალი შეჯახების შესაძლოებას. ანტანტის პოლიტიკა არ შესდგება ერთი მთლიანი ნაკვეთისაგან, ერთი მთლიანი მასისაგან; აქ არის ელემენტები, რომელთაც არ დაუკარგავთ იმედი ინტერვენციისა და ადვილად შესაძლებელია,—როდესაც ეს ხალხი ჩვენ წაგვიყენებს პირობებს, რომლის მიღებას ჩვენ ვერ შევძლებთ,—ადვილად შეიძლება ეს გარემოება იქცეს გამოსავალ წერტილად აგიტაციის ახალი ტალღისათვის, რომელიც იტყვის: „აი, ქვეყანა, სადაც ამდენი ხალხი იხოცება, და რომლის მთავრობას არ სურს არავითარი დათმობა; შტიკებით უნდა მივიტანოთ იქ პური“. ამიტომ, ასეთ მომენტში რომ თავი არ მოგვეყარა მუშათა კლასისათვის საერთაშორისო მასშტაბით, როცა ეს გამოწვეულია მისი საკუთარი ინტერესებით,—ჩვენ ჩავიდენდით უდიდეს სიგიჟეს.

მაგრამ შეუძლიანთ გვითხრან: მაშასადამე, კომინტერნის პოლიტიკის წყარო არის საბჭოთა რუსეთი. ამან არ უნდა შეგვაშინოს; მე ვფიქრობ, ზოგიერთი ამხანაგი, ჩემი მეგობრები კომინტერნში მეტად შეშინებულნი არიან აღნიშნული მოვლენით. ჩვენ მთელი ქვეყნის წინაშე, სრულიად აშკარად უნდა განვაცხადოთ, რომ საბჭოთა რუსეთის პოლიტიკა არის აუცილებელი და აქვს იგივე ფესვები, რაც მუშათა კლასის პოლიტიკას. აქ არ არის არავითარი წინააღმდეგობა, ასე რომ, რა მხრითაც უნდა მიუდგეთ აღნიშნულ საკითხებს, ჩვენ უნდა გავიზიაროთ ამხ. ზინოვიევის წინადადება, გავიზიაროთ კომინტერნის აღმასრულებელ კომიტეტში პარტიის წარმომადგენელთა თვალსაზრისი, და არ უნდა შევქმნათ ისეთი შთაბეჭდილება, რომ თითქოს ჩვენ შორის არის ორი სხვა და სხვა პრინციპიული ხაზი. ეს არის ფაქტის ესა თუ ის შეფასება. ჩვენ შორისაც, ამ ხაზის დამცველთა შორისაც არის სხვა და სხვა აზრი, მაგრამ საჭირო არ არის გამოვიწვიოთ ისეთი შთაბეჭდილება, რომ თითქოს რუსეთის პარტიაში არსებობს ორი ხაზი კომინტერნის მიმართ. არის ერთი ხაზი, რომელიც გამოისახა კომინტერნის რეზოლუციაში და არის რეზოლუცია, რომელსაც საერთო ფრონტის საკითხის შესახებ, ჩვენ წარუდგენთ კომინტერნის აღმასრულებელ კომიტეტს. (ტაში).

სიტყვა ეძლევა ამხ. დვოლაიცკის.

ამხ. დვოლაიცკი

წინა ორატორები ბევრს დაობდნენ იმის შესახებ,—დაიწყო მსოფლიო მეურნეობაში აღორძინება თუ არა. ამხ. ტროცკი ფიქრობს, რომ კაპიტალიზმი იწყებს შესვლას განვითარების იმ ფაზაში, რომელსაც ეწოდება მაღალი კონიუნქტურა. რასაკვირველია, თვით მაღალ კონიუნქტურაზე ლაპარაკი, ტროცკის თვალსაზრისით, დღეს შეუძლებელია. შეიძლება [illegible] აღორძინების სიმპტომებზე [illegible] მე ვფიქრობ, რომ არც ეს თვალ[illegible]რისია. სწორი.

მართლაც, შემოდგომაზე იყო მ[illegible] ბუქი გამოცოცხლება, სრულიად [illegible] ნიშვნელო. ამხ. ტროცკი შემდეგ[illegible] ბობს: „ბავშვი პატარა იყო“. მაგ[illegible] საქმე ის არის, რომ ეს ბავშვი უ[illegible] დაიხრჩო,—აღორძინების ნიმუშ[illegible] უკვე განვლო.

საკითხი უნდა დაისვას ასე: მ[illegible] გაუმჯობესება ნიშნავს თუ არა, რ[illegible] კრიზისმა გაიარა, ან როგორ უნდა დ[illegible] ვას საკითხი. ყველა წინა კრიზისებ[illegible] დროს ჩვენ ვიცით, შემოდგომაზე, განს[illegible] კუთრებით აგრონომიული მრეწველ[illegible] ბის ქვეყნებში, იწყება მცირე გამ[illegible] ცოცხლება; ეს ადვილად გასაგებ[illegible] ვინაიდან ამ დროს სწარმოებს მოს[illegible] ვლის რეალიზაცია, ვაჭრობის გამ[illegible] ღვიძება და ხაზის უეცარი აწევ[illegible] ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ ხდე[illegible] სრული ლიკვიდაცია დაწყებული გ[illegible] მოცოცხლებისა. ნაწილობრივ მართ[illegible] ლია, მე უნდა ვაღიარო, რომ განა[illegible] გურების წინსვლა, დაცემის ტემპ[illegible] მსოფლიო კრიზისის განვითარებ[illegible] ტემპი, მართლაც შეჩერდა; კაპიტ[illegible] ლიზმი ჩავარდა ჭაობში და ერთგვა[illegible] დაბალ დონეზე ქანაობს.

გამოსავალი მდგომარეობს შემდეგ[illegible] ში: უნდა მოხდეს ლიკვიდაცია ვერსა[illegible] ლისა, სენ-ჟერმენისა და სხვ. ხელშე[illegible] კრულებათა ფინანსიური, ეკონომი[illegible] ური ნაწილისა. შეუძლიან ბურჟუაზია[illegible] გადადგას ეს ნაბიჯი? მე ძალიან ვფი[illegible] ქრობ, თეორეტიულად, რა თქმა უნ[illegible] და,—პოლიტიკურად ამ კითხვაზე[illegible] უნდა უპასუხოს იმ ხალხმა, რომელ[illegible] საც ჩემზე მეტი იცის პოლიტიკაში. საჭიროა ყველა მხარემ ხელი აიღოს მრავალ ვალდებულებაზე ურთიერთისადმი. ეს იმას ნიშნავს, რომ შეერთებული შტატები დაჰკარგავს 11 მილიარდ ოქროს დოლარს. შეიძლება რუსეთის ყური მიეჩვია ასეული მილიარდებისა და ტრილიონებით ლაპარაკს. მაგრამ მოიგონეთ, რომ აქ საქმე გვაქვს ოქროს დოლართან. ისეთი ხალხი, როგორიც კესსია, შორსმჭვრეტელი ბურჟუაზიული პოლიტიკოსი, რომელსაც სურს აიძულოს ამერიკა უარი სთქვას თავის დოლარებზე, მიმართავენ ატლანტიის გადაღმა მდებარე რესპუბლიკის სულგრძელობას. ცხადია ამერიკას არ სურს უარის თქმა, რადგან ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი მასზეა დამყარებული. ამერიკამ ახლო დროში უნდა აიღოს იჯარა რუსეთის ეკონომიური აღდგენისა. ბურჟუაზიას, სწორედ იმიტომ, რომ იგი ბურჟუაზიაა, თავის ბუნებით არ შეუძლიან აწარმოოს ინტერნაციონალური ბურჟუაზიული პოლიტიკა; მას არ შეუძლიან პრაქტიკულად გამოვიდეს დღევანდელი მძიმე მდგომარეობიდან. მართლაც რას ვამჩნევთ ჩვენ ამ ზაფხულის განმავლობაში? შემოდგომის პირველ თვეებში ადგილი ჰქონდა ყველა, ევროპულ, დიდი სახელმწიფოების გადახრას პროტექციონიზმის მიმართულებით. ისეთმა ქვეყანამ, როგორიც არის ინგლისი, ტრადიციულად ფრიდრედერული, რომელმაც 75 წელიწადია არ იცის საბაჟო გადასახადი,—დაჰკარგა თავისი ფრიდრედერული უმანკოება და ერთბაშად მოჰბარა პროტექციონიზმისაკენ. ამერიკამ შემოიღო ისეთი კანონი, რომელიც არაოდეს უნახავს ამერიკულ პროტექციონისტულ პრაქტიკას. ეს იყო ამ ზაფხულში. იტალიამაც სცადა შემოიღო ისეთი განსაკუთრებული კანონი, რომლის მსგავსი მას არ მოსწრებია. ამითი ფიქრობენ გადაარჩინონ თავისი მრეწველობა. მსოფლიო მეურნეობის თვალსაზრისით ეს ნიშნავს საბაჟო გადასახადის შემოღებას, არა პირდაპირ გადასახადს. შინაგანი ბაზრის შევიწროება, და მაშასადამე მსოფლიო ბაზრისაც, წინააღმდეგობამ მსოფლიო ბაზრის შევიწროებასა და მსოფლიო წარმოების გაფართოების შორის, არის კრიზისის ერთი ფაქტორთაგანი.

ბურჟუაზიას, როგორც გვიჩვენებს პრაქტიკა, არ აქვს უნარი გაიგოს თავისი საკუთარი ბურჟუაზიული ინტერესები, იმდენად, რამდენადაც იგი უნდა აწარმოებდეს ინტერნაციონალურ ბურჟუაზიულ პოლიტიკას,—ეს ბუნებაა ბურჟუაზიისა. რა შედეგები მოიტანა ამ პროტექციონისტულმა პოლიტიკამ? გამოიყვანა თუ არა მან მსოფლიო მეურნეობა კრიზისიდან?—არა, მან გაამწვავა ეს კრიზისი; და ჯერჯერობით არავითარი იმედი, არავითარი პერსპექტივა გაუმჯობესებისა არა ჩანს. სამწუხაროდ მე უნდა გავათავო. მე მინდა კიდევ ხაზი გაუსვა იმ აზრს, რომ დღეს არავითარი გამოცოცხლება არ არსებობს და არცა ჩანს. თეორეტიულად რომ ვსთქვათ, ბურჟუაზიას შეუძლიან მონახოს გამოსავალი, მაგრამ ამისათვის მან უნდა გადასწყვიტოს ისეთი ზომების მიღება, რომელიც სავსებით ეწინააღმდეგება ბურჟუაზიული საზოგადოების ძირითად ბუნებას.

სარედაქციო კოლეგია.